„ბოლო წლებში ჩვენ დაგვიბრუნდა ბრძალი სია საბარკო-პოლიტიკური ნარკობაბლოგებისა და ნინააფდებოგებისა, მათ შორის, რა თქმა უნდა, არის ლიბიის დაბოგბა და სირიაში აბოგბაბაბის შეიარაბების სურვილი, როგბლების იყო გაუბართლაბელი პროვოკახიები ვლაღიბარ კუბინის ნინააფდებ. ევროკავშირის იბპირიბ, რომელიც გამუდმებით მიისწრაფვის გაფართოებისკენ, რამდენიმე წლის წინათ განაცხადა თავისი ტერიტორიული პრეტენზიების შესახებ უკრაინაში. და რაც კიდევ უფრო ცუდია — ნატოს ზოგიერთმა წევრმაც თქვა, რომ სურთ უკრაინის მიერთება. ჩვენ ნაბაბაბათი აბოგბაბა უკრაინაში, როგბლის შედებებებ დაბგბო პრაბიბინბ იბნაშკო-ვიჩის რაბიბი. აბან თავის მხრიბ, გაბოინბი ვლაღიბარ კუბინის შესახებ, აბ ისტორიის მორალი ასეთია: თუ გადაწყებთ ჯოხით შეუჩინოთ რუსულ დათვს, არ გაბიკვირდთ მისი რაბაბაბი. და აი ახლა მივიჩიბაროთ უკრაინასთან შეთანახბების განაფორბებლად. სანამ ჩვენ აბ ვლაბარაკობთ, ნატოს ჯარისკახები მონაწილეობენ საბხედრო სნაწლებებში უკრაინაში, ჩვენ რა, აზროვნების უნარი დაბკარბათ? მართლა ბვსურს კუბინთან დაბირისბირება?»

თუ გვსურს, მაშინ მიმართულება სწორად აგვიჩვენებია. ჩვენ უნდა ვალიაროთ, რომ დასავლეთი ამჟამად ევჯახება ჩვენი ცხოვრების წესისთვის ყველაზე დიდ საფრთხეს ბოლო 70 წლის განმავლობაში. ამ პრობლემის ნათელი დასტურია თავმოკვეთილი ბრიტანელი და ამერიკელი მძევლები. ჩვენი მოქალაქეებიც მონაწილეობენ ამ ბრძოლაში.

ისლამურ ექსტრემიზმთან ბრძოლაში ვლაღიბარ პუტინი, რასაც უნდა ფიქრობდეთ მის შესახებ, სინამდვილეში ჩვენ მხარესაა. გათავაზობთ, დავსერიოზულდეთ. გათავაზობთ, ვალიაროთ რეალური საფრთხე, რომელსაც ევჯახებიან ჩვენი ქვეყნები და საზოგადოებები.

ჩვენი უნდა შევწყვიტოთ სამხედრო თამაშები უკრაინაში და მოვაშაბლოთ ისეთი ქვეყნების დახმარების გეგმა, როგორცაა სირია, ერაყი, კენია, ნიგერია, რათა გაუმკლავდნენ რეალურ საფრთხეებს. თავი დავანებოთ პუტინის პროვოცირებას, მოგვწონს თუ არა ის“.

inosmi.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა ნიკა კორინთელა



„როდესაც 2 მაისს ოდესაში, პროფკავშირების სახლში, 50-ზე მეტი ოდესელი ცოცხლად დაწვეს, თქვენ თქვით: გასარკვევია, იმ ვინ იყო, „ქვეყანაში კი ფაშიზმი არ არის“. როდესაც 2014 წლის 9 მაისს მარიუპოლში ტანკებიდან და ჯავშანმანქანებიდან გახსნილი ცეცხლით დახვრიტეს უიარაღო მშვიდობიანი ადამიანები, თქვენ თქვით: ეს ყველაფერი ფეიქია და „ქვეყანაში ფაშიზმი არ არის“.

სარკოველმა ოლავ ნო-ვიკოვმა უკრაინის ინტელიგენციისადმი მიმართვა გამოაქვეყნა

„როდესაც თებერვლის 14-ში (2014 წლის — გ. გ.) დასავლეთ უკრაინაში გამოჩნდა სა-შპო ბილი, დაიწყო იარაღის კომპანიების მარცვა და ჯგუფურად ყვირილი: „მოსკალია-კუ ნა გილიააკუ“ („მოსკალი ხის ტოტზე“ — გ. გ.), თქვენ თქვით, რომ ეს კანონიერების ჩარჩოში არ ჯდება, მაგრამ „ქვეყანაში ფაშიზმი არ არის“.

* როდესაც მარტის 14-ში ხარკოვში ნაციონალისტური „პროსვიტის“ ფანჯრებიდან დახვრიტეს ახალგაზრდები — შუღოვი და შაროვი, თქვენ თქვით, რომ ეს პოლიტიკაა, ხოლო „ქვეყანაში ფაშიზმი არ არის“.

* როდესაც იმავე წლის აპრილში ქვედანაყოფმა „იაგუ-არმა“ 70-ზე მეტი ანტიმიდნელს ცხვირი მიწაში ჩააყოფინა, რის გამოც ისინი მრავალი წლით ჩასვეს ციხეში, თქვენ თქვით, ქალაქში სიმშვიდე იქნება, „ქვეყანაში ფაშიზმი არ არის“.

* როდესაც 2 მაისს (2014 წ. — გ. გ.) ოდესაში პროფკავშირების სახლში 50-ზე მეტი ოდესელი ცოცხლად დაწვეს, თქვენ თქვით, გასარკვევია, იქ ვინ იყო — „ქვეყანაში კი ფაშიზმი არ არის“.

* როდესაც 2014 წლის 9 მაისს მარიუპოლში ტანკებიდან და ჯავშანმანქანებიდან გახსნილი ცეცხლით დახვრიტეს უიარაღო მშვიდობიანი ადამიანები, თქვენ თქვით, ეს ყველაფერი ფეიქია და „ქვეყანაში ფაშიზმი არ არის“.

* როცა 2 ივნისს უკრაინის შეიარაღებული ძალების ავიაციამ ლუგანსკი დაბომბა, თქვენ თქვით, ეს კონდიციონერი აფეთქდა, — „ქვეყანაში ფაშიზმი არ არის“.

* როცა დაიწყო დონბასის დაბომბვა, თქვენ თქვით, — მაგრამ ჩვენ ცოცხლები ვართ, — „ქვეყანაში ფაშიზმი არ არის“.

* როცა დაიწყო ლამის მსვლელობები ჩირაღდნებით, როცა საერთო წივილ-კივილისა და სიგითი ფონზე ხარკოვში ჩამოაგდეს ლენინის ყველაზე დიდი ძეგლი, როდესაც უღირსებს მისცეს უკანონობების ჩადენის ინდულგენციები, ქვეყანაში კი დაიწყეს ე.წ. ანტიტერორისტული ოპერაცია, თქვენ თქვით, — ოღონდ ომი არ იყოს, — „ქვეყანაში ფაშიზმი არ არის“.

* როცა მომდევნო წლებში დევნიდნენ, აპატიმრებდნენ, აწამებდნენ მიუღებელ ადამიანებს, თქვენ თქვით, — თქვენ გაფრთხილებდნენ, — „ქვეყანაში კი ფაშიზმი არ არის“.

* როდესაც გამჟღავნდა ნაციონალისტური ბატალიონების — „აზოვის“, „დონბასის“, „აიდარის“, „ტორნადოსა“ და სხვების დანაშაულები დონბასის მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ — ნამება, მკვლელობები, მარცვა და ა.შ., როცა გაიხსნა ნანამები და დახვრეტილი მოქალაქეების ათობით საერთო საფლავი, როცა დონეცკში გაიხსნა ანგელოზების სეივანი, თქვენ არაფერი გითქვამთ, მაგრამ თქვენი დუმილი ნიშნავდა, რომ „ქვეყანაში ფაშიზმი არ არის“.

* როდესაც დაიწყეს დონბასის გათავისუფლება, თქვენ შეკრით და გაგიკვირდათ, — კი მაგრამ, „ქვეყანაში ხომ ფაშიზმი არ არის“?

* როდესაც აფეთქებებისგან ხარკოვში პირველი ფანჯრები ჩატყდა, თქვენ პანიკაში ჩავარდით, — რას აკეთებთ, ასე არ შეიძლება, — ჩვენ ხარკოვში „ფაშიზმი არ გვაქვს“.

* როცა ჭურვებისა და რაკეტებისგან დაიწვა სახლები და ინფრასტრუქტურა, გაჩნდა მსხვერპლი მშვიდობიანი მოსახლეობაში, თქვენ შეგეშინდათ, „გონს მოხვედით“ და აყვირდით — ჩვენ რაღა დავაშავეთ? ჩვენ არ გვსურს ასეთი გათავისუფლება! ჩვენ არ გვინდა ასეთი „რუსული სამყარო“. ჩვენ თავს დაგვეხსნენ ფაშისტები!

როდესაც თქვენ დამაჯერებლად აგისწეს და გარწმუნებდით, რომ რუსები ესვრიან მხოლოდ სამხედრო ობიექტებსა და უკრაინის შეიარაღებული ძალებისა და ნაცბატალიონების თავმოყრის ადგილებს, რომ ნაცბატალიონები და უკრაინის შეიარაღებული ძალები თავიანთ სამხედრო ტექნიკას საცხოვრებელ სახლებს შორის მალავდნენ, რომ ნაცბატალიონები განლაგებულნი არიან სკოლებსა და საცხოვრებელ კვარტლებში და იქიდან ხსნიან ცეცხლს... თქვენ დახუჭეთ თვალები და დაიხუჭეთ ყურები, რათა დაგეშინებოდათ თქვენი შიში და ამტკიცებდით, — თქვენ ყველაფერი იტყუებით, ეს რუსები არიან ფაშისტები.

* როცა ყველა ქალაქში სამართლოს ჩაუტარებლად დაიწყეთ ბოძებზე ადამიანების მიბმა და აბუჩად აგდება; როცა „აზოვმა“ მარიუპოლის მცხოვრებნი ცოცხალ ფარად აიფარა; როცა არამზადა ჩილი და ნემიჩივი ხარკოვში რუს ტყვე ჯარისკაცებს, დაჭრილებს, ფეხებს უხვრეტდნენ და სიცოცხლეს ასალმებდნენ; როცა მარიუპოლში საცხოვრებელი სახლის სარდაფში, სადაც „აზოვს“ თავშესაფარი ჰქონდა მოწყობილი, ნახულობენ ახალგაზრდა ქალის დასა-

«იხრებათ, თქვენ, ვისაც «ქვეყანაში ფაშიზმი არ გაქვთ», ახლა გათავისუფლებენ არა თქვენ, არამედ ათავისუფლებენ თქვენგან»

გამნარკვეული უკრაინელის ბრალდება უკრაინელი ინტელიგენციისადმი



«როდესაც ყველა ქალაქი სასაგარტოს ჩუბაჩაბლად დაიწყო ბოძებზე ადამიანების მიბმა და აბუჩად აგდება; როცა „აზოვმა“ მარიუპოლის მცხოვრებნი ცოცხალ ფარად აიფარა; როცა არამზადა ჩილი და ნემიჩივი ხარკოვში რუს ტყვე ჯარისკაცებს, დაჭრილებს, ფეხებს უხვრეტდნენ და სიცოცხლეს ასალმებდნენ; როცა მარიუპოლში საცხოვრებელი სახლის სარდაფში, სადაც „აზოვს“ თავშესაფარი ჰქონდა მოწყობილი, ნახულობენ ახალგაზრდა ქალის დასა-

ხირებულ სხეულს უხელებ-ოდ და მუცელზე სვასტიკა ამოტვიფრულს; როცა რუს სამხედრო ტყვეს აჭრიან თითებს და ცოცხლად წვანენ; როცა ვინცელი არაადამიანი საჯაროდ, ვიდეოკამერის წინ აწამებ და თვალში დანის დარტყმით კლავს ადამიანს; როცა... თქვენთვის ახლაც ცოტაა მტკიცებულება. თქვენ მაინც ვერ გაიგეთ, რისგან გადასარჩენად მოვიდა რუსეთი. კითხვები „ჩვენ რისთვის?“ და „რა-ტომ?“ ჩაიძირა „ჩვენ არ გვი-თხოვია გათავისუფლება“-სა და „ჩვენ არ გვეჭირდება ასეთი რუსული სამყარო“-ში. მაშინ იცოდეთ, თქვენ, ვისაც „ქვეყანაში ფაშიზმი არ გაქვთ“, ახლა გათავისუფლებენ არა თქვენ, არამედ ათავისუფლებენ თქვენგან“.

მოამზადა
ვიორგი ბანიჩილაკი





1935 წლის 22 დეკემბერს საქართველოს მწერალთა კავშირის სამდივნოს სხდომაზე, რომელიც აქტივთან ერთად გაიმართა, მგზნებარე სიტყვით გამოსულმა მიხეილ ჯავახიშვილმა სტალინის ქებათაქების შემდეგ თქვა: „ყოველგვარი ნაწარმოების დასაწერად საჭიროა პათოსი. ჩვენს მწერლობას ამხანაგ სტალინის თემისთვის ნამდვილად აქვს პათოსი“.

◀ **მინდი. ჩამი წყალობით მან 6 000 მანეთად ორი ჯაგაზი იშოვა** (იხ. საშპი 9997, გ. 28).

მიხეილ ჯავახიშვილმა 1937 წლის 21 ივლისის მოხსენებით ბარათს მოკლე ხანში ინფორმაცია დაამატა და ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის კოლეგიის თავმჯდომარეს შემდეგი შინაარსის შეტყობინება გაუგზავნა:

„გაძლევთ დამატებით ჩვენებს და განვმარტავ:“

1. ისონ ჯავახიშვილი, როცა უკანასკნელად და შემთხვევით შემხვდა ქუჩაში, გაკვირვებით მიხრა „პარიტეტულ კომიტეტში ავიღე 300 (თუ 400) ლირა. მინდა ჩოლოკაევს გაუგზავნო: შესაძლო შეცდომის თავიდან ასაცილებლად განვმარტავ:

1. ეს თანხა პარიტეტულ კომიტეტს შეეძლო გაეღო ჩოლოკაევისათვის. ისონ ჯავახიშვილს ეს თანხა შეეძლო მიეღო სესხად, ოღონდ პარიტეტულ კომიტეტს უნდა სცოდნოდა, ვისთვის და რისთვის არის განკუთვნილი; შეასრულა თუ არა ჯავახიშვილმა თავისი განაზრახვი, არ ვიცი, რადგან ამის შემდეგ არ შევხვედრივარ.

2. ეროვნულ დემოკრატია პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ჩოლოკაევს ურთიერთდამოკიდებულება, ჩემი შთაბეჭდილებით, ერთობ გაურკვეველი იყო. ერთი მხრივ, ნათლად შეიმჩნეოდა, ამ მოვლენისადმი უარყოფითი დამოკიდებულება და ამ საკითხისათვის ბოლოს მოღებვის სურვილი. მეორე მხრივ კი, ვგრძნობდი ცალკეულ პირთა და ჯგუფთა ფარულ მუშაობას საპირისპირო მიმართულებით. ჩოლოკაევთან **ამირა-ჯიბისა** და **ჩიჭინას** გაგზავნა პოსტ ფაქტუმ შევიტყვე, ამასთან, ამისხსნეს, ამით იმ მიზნით ვგზავნი, რომ ჩოლოკაევი შეაკავონ საერთო აქტიური მოქმედებისაგან და კერძოდ, „ექსცესებისაგან“. პარტიის ლიდერების კედისა და ასათიანის როლი და გავლენა საერთოდ „ჩოლოკაევლობის“ საქმეში თითქმის გადამწყვეტი იყო. ციხიდან ისინი თითქმის ყოველდღიურად უკავშირდებოდნენ და დირექტივებს აძლევდნენ ისონ ჯავახიშვილს. მაგონდება, რომ კახეთში გაგზავნილ ამირეჯიბს დაავალეს, დაიყოლიე ჩოლოკაევი თვითლიკვიდაციის სანაცვლოდ მთავრობას მოსთხოვოს (თუ მასთან ჩავიდოდნენ ხიმშიავე და სხვები) პოლიტპატიმართა გათავისუფლებაო. მგონია, ცალკეული პირები და ჯგუფები მხარს უჭერდნენ „ჩოლოკაევობას“, როგორც იარაღს, შესაძლო მოდუსზე მთავრობასთან მოლაპარაკებაში. დუშეთის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე დასახლებულ ადგილებში, მათ და რა როლს ვასრულებთ, მაგრამ ისონ ჯავახიშვილმა პასუხი გამიციანურა ისტორიის და ამბების გარკვევამდე, მეუბნებოდა, თვითონაც არ ვიცი რაო. ცოტა ხნის მერე მიხრა, აქ პარტია და ცენტრალური კომიტეტი არაფერ მუშაობა, ეს ამბები ყველასათვის მოულოდ-



მიხეილ ჯავახიშვილი, მისი მეუღლე ლუბა ჯაჭვიაძე და ქალიშვილი ქეთევანი

ნელი იყო და ყველაფერში ბრალი მიუძღვის **დ. შანაძეს**, რომელიც ამის მერე ცენტრალური კომიტეტიდან გარიცხეს. შემდეგ დასძინა, ჩოლოკაევს ფიქრადაც არ მოსვლია თავში აქტიური გამოსვლები, მაგრამ იძულებული გახდა, თავი დაეცვა, რადგან ჯარი მას კვლავ ჩაუდგა და თავს დაესხაო. ეს იყო ჩვენი უკანასკნელი საუბარი ჩოლოკაევზე. მიხრეს, თითქოს სადღაც ვილაცხას მოლაპარაკება გაუმართავს ჩოლოკაევის ბანდის ლიკვიდაციის თაობაზე, ბანდისა, რომელიც მალე დაიშლებაო.

3. პირადად ჩემზე, ვიმეორებ: ერთობ დაკავებული ვიყავი და აქტიურად ვერ ვმუშაობდი. ზოგჯერ მთელი კვირა გავიდოდა ისე, რომ ცენტრალური კომიტეტის არც ერთი წევრი არ შემხვებოდა და, ბუნებრივია, ამბები არ ვიცოდი. ცენტრალური კომიტეტის

წევრები გრძნობდნენ და მამჩნევდნენ, რომ მწადადა, სულ ჩამოვშორებოდი პოლიტიკას, რომ ბოლო დროს აღარ ვფარავდი ფრიად სკეპტიკურ დამოკიდებულებას დასავლეთიდან მოსალოდნელი ამბებისადმი და რომ ჩემი შეხედულება საბჭოთა ხელისუფლებაზე და დამოკიდებულება მისდამი ამკარად შეიცვალა. ამიტომ მერიდებოდნენ. რაც ვიცოდი, ყველაფერი ვთქვი“ (იხ. არქ. 23, ფ.ფ. 58.59).

აღნიშნულმა აღიარებებმა და სხვა ბრალდებულთა დაკითხვის ოქმებმა, აიძულა ხელისუფლება და აღმასრულებელი ორგანოები, 1937 წლის 14 აგვისტოს ქვიშხეთის აგარაკზე მიხეილ ჯავახიშვილი დაეპატიმრებინათ. მწერალი ახლდა მისი და, რომ სრულიად ხელუხლებელი ადამიანები არ არსებობენ და დიწყო ფიქრი იმაზე, როგორ შეემსუბუქებინა მის მიერვე ეგზომ თავისუფლად დაწერილი და ნათქვამი აზრები, მაგრამ გვიანი იყო. მიხეილ ჯავახიშვილს თვალწინ წარმოუდგა კრემლის სასახლე. ამ სასახლის ერთ პატარა ოთახში ერთსამანეთზე მიდგმული ორი სავარძელი. ერთში ბელადი იჯდა, რომელმაც უთხრა: „მიხეილ, დაანებე თავი ამ ჭუჭყიან საქმეს. ილიას საქმეს აკეთებ და ბოლომდე მისდიე მას“. თვალწინ წარმოუდგა ბერიასგან მომენილი ბელადის სამადლობელო სიტყვები „არსენა მარაბდელის“ თაობაზე. ნუთუ ასე უნდა დასრულდეს ყველაფერი?

მიხეილ ჯავახიშვილის მიერ მიცემული ჩვენებებიდან ჩემამ ამოკრიბა მის მიერ დასახელებული პირები და 51 კაცის სია შეადგინა. ყოველი ვაგარის გასწვრივ მითითებულია შესაბამისი ფურცელი, რომელზეც ნახსენებია ეს გვარი.

„Список проходящих по собственноручным показаниям Джавахишвили М. С.“

1. ჯავახიშვილი არჩილ — 10,14
2. აბაშიძე კოკი — 10,4
3. რაჭველიშვილი ქრისტეფორე — 10,52
4. საყვარელიძე მიხეილ — 10
5. ბოკერია ევგენი — 10,52
6. ნუცუბიძე შალვა — 10,13,20,21,24, 41,43,44,53
7. ქიქოძე გერონტი — 10,13,17,20,36,43,44,46,52
8. ჭიჭინაძე კონსტანტინე — 10,14,17,46
9. მოსაშვილი ილია — 10,13,17,20,23,24,43,45,46,52
10. იაშვილი პავლე — 10, 13, 17, 18, 20, 22, 23, 25, 27, 43, 46, 50, 51, 52
11. ტაბიძე ტიციან — 10, 13, 17, 20
12. მაჭავარიანი იოსებ — 10
13. დანელია სერგი — 10, 21, 24
14. მინიშვილი ნიკოლოზ — 10,13,17,23,24,52
15. ნინიძე კირილე — 10, 36, 41, 53
16. თავაძე სოლომონ — 10, 17
17. ფირცხალაიშვილი (იურისტი) — 1 0
18. ულიავა ნიკო — 10
19. ჭუმბურიძე შალვა — 10
20. ნანიშვილი ზ. — 3, 13, 20, 21, 24, 35, 43, 45, 52
21. ჯიქია — 13,20
22. წერეთელი ალ. — 14
23. წერეთელი დათიკო — 14, 23, 46, 52
24. ვარაზაშვილი — 4,14
25. ახმეტელი ს. — 14
26. გამსახურდია კ. — 14, 17, 46
27. ვაკელი იონა — 14
28. შანშიაშვილი — 14
29. ჭიჭინაძე კ. — 14,17,46
30. ბარამიძე ევსეი — 14
31. ჭუმბაძე არისტო — 14, 17
32. ქართველიშვილი შალვა — 14
33. მისურაძე ალ. სიმ. — 14
34. კობიაშვილი დავით — 15,23
35. ბერიძე უ. — 24
36. გოგბერიძე მ. — 24
37. გარსიაშვილი ლევან — 26,27,52
38. ფალავა ბეგლარ — 28,52
39. ქარუმიძე შალვა — 28, 35, 46, 52
40. აბაშიძე მემედ — 35
41. ნიორაძე მ. — 36, 37, 38, 39, 41, 42
42. მაგლობლიშვილი გ. — 40
43. მახარაძე გ. — 40, 41, 53
44. პასტიენაკი — 45
45. პალნიაკი — 45
46. ზაზუბრინი — 50
47. ვასილევსკი — 50
48. სტავსკი — 50
49. დადიანი ს. — 52,53
50. ბარათაშვილი — 52, 53
51. მესხიშვილი შ. — 52, 53

დასასრულ, კვლავ მინდა მოვიყვანო ლიტერატურის მუზეუმის დირექტორის მოადგილის, **ნიწო სოფირის**, ნათქვამი: „პოლიტიკანობა იმ მასშტაბის მწერლისათვის, რომელმაც თავისი მრწამსი შემოქმედებაში გამოხატა, მართლაც წერილმანი რამ არის“.

მწერლის შემოქმედებაში თავისი მრწამსის გამოხატვა მიხეილ ჯავახიშვილისთვის სრულელებითაც არ არის სასახელო. ვფიქრობ, მხატვრული სიტყვის ოსტატზე მისი პროზაული მოზაიკების მიხედვით უნდა ვიმსჯელოთ და არა მის მრწამსით, რომელიც თავის შემოქმედებაში ჩადო. მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედებაში მრწამსის დანახვა თვითონ მიხეილ ჯავახიშვილისა და მისი მეუღლის, ქალბატონ **ლუბა ჯაჭვიაძის** დაპირისპირებამდე მივიყვანო, რაც დიდად არ დაამშვენებს დიდებული მწერლის პორტრეტს, თავი რომ დავანებოთ უდანამართლო თუ დამნაშავე თანამებრძოლთა „ჩამგებას“...



მიხეილ ჯავახიშვილის პირადი საშპი შანდარმერიანი 1910 წ.




ყურადღება!

დაიბეჭდა გატონ გრიგოლ ონიანის ნიგნ „სტალინის“ გე-7 და გე-8 ტომები. შექმნის მსურველებმა დარეკეთ ტელეფონის ნომერზე: 597100600.

აპი პენსიონი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



უკრაინაში მიმდინარე შეიარაღებული დაპირისპირება არის ცივილიზაციითა, კულტურათა შორის ომი; უფრო სწორად, კულტურასა და უკულტურობას, ზნეობასა და უზნეობას, ღმერთსა და სატანას შორის, საბოლოო ჯამში, კაცებასა და ლგბტ პირთა შორის გლობალური ომი, რომელში ჩარევა იმაზე მეტად, რა დოზითაც ვერაქვით, საბარტოველოს ეროვნულ ინტერესებს ეწინააღმდეგება.

კიევს, რადგან ამერიკელების ნაქაზებით რუსეთთან ომი გააჩაღა, საქართველოს მიმართ ყველაფერი ეპატიება?

უკვე თვე-ნახევარია რუსეთი უკრაინაში სპეცოპერაციას აწარმოებს და ზუსტად ამდენი ხანია, საქართველო „მოძმე“ უკრაინის წინაშე დამნაშავე ბავშვივით თავის მართლების პოზაში, თუ ჭიდაობის ტერმინით ვიცყვით, ე.წ. ჩოქბუნებში იდგა. იდგა, ანუ წარსულ დროს ვგულისხმობ, როდესაც ოფიციალური კიევის მაღალი თანამდებობების პირები ათასგვარ შეურაცხმყოფელ, აბსურდულ და პროვოკაციულ განცხადებებს აკეთებდნენ. მათი მიზანი „მოძმე“ უკრაინელების დასახმარებლად საქართველოს ამ სულელურ ომში როგორმე ჩათრევა იყო სოხუმისა და ცხინვალის მიმართულებით ბრძოლის დაწყებით, მოკლედ, საქართველოში რუსეთისთვის მეორე ფრონტის გახსნის გზით...



ეს კინო საქართველომ 2008 წელს უკვე ნახა, როდესაც რუსეთის „ჟანგიაზმა“ ტანკებმა 3 დღეში ლამის სრულიად საქართველოს ოკუპაცია მოახერხეს და თბილისშიც ადვილად შეიჭრნენ და დაიწყეს „შემოგრობინდებოდნენ“, რომ არა საფრანგეთის იმჟამინდელი პრეზიდენტის, ნიკოლა საკოპოზის, ძალისხმევა. რუსეთის „ჟანგიაზი ტანკების“ არმადამ გორში შესულა იკმარა, სადაც სტალინის ძეგლის აფეთქებაზე (სააკაშვილის მთავრობამ თანხა შესთავაზა რუს პოლკოვნიკს) მტკიცე უარი განაცხადა და დიდი რუსეთის იმპერიის აღმშენებლისა და ფაშისმის დამმარხველის მონუმენტური ძეგლის ფონზე სამახსოვრო ფოტოებიც კი გადაიღეს რუსულ ჯარისკაცებმა. შემდეგ ცხინვალამდე უკან დაიხიეს, სადაც იმხელა სამხედრო ბაზა ააშენეს, რომ შიშის ზარს სცემს ამიერკავკასიას... ალბათ, იმ „კინოს“ ბრალი იყო, რომ ირაკლი ლარიბაშვილმა ჯერ კიდევ ომამდე განაცხადა: „ჩემი უფროსი ეპროკავშირი კი არაა, ქართველი ხალხია და, პირველ რიგში, საქართველოს ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით ვიმოქმედებ“. მოდი, ნუ დავუკარგავთ გამბედაობას საქართველოს პრემიერს, ამის თქმა ლიბერალური კოლექტიური დასავლეთის წინაშე მყოფ საქართველოში, ჩემი აზრით, იოლი საქმე არ არის.

უკრაინელმა კოლაბამ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე გურამ მიიპატიჟა. ეს, პირველ რიგში, ქართველი ხალხის შეუჩინებელი, რადგან მსგავსი დაპატიჟება საქმის გასარჩევად დაბარებაა; ზუსტად ისა, ე.წ. კანონიერი ქურდი პარლამენტი რომ დაიბარებოდა! ბოლოს და ბოლოს, რაიმე ვალი გვაქვს უკრაინელების თუ ამერიკელთა ნაქაზებითა და საკუთარი უტყუარობით ომი რომ დაიწყებოდა? თუმცა მეტი ღირსნი ვართ და ახია ჩვენზე! საქართველოს მოსახლეობა შეიშინებულა, ნავის ბუნებრივი იჩაქება და ამ ვითარებაში უმადურ უკრაინელებს ტონობით სურსათს უზრუნველყავით, უზღუდო უფლები აქვთ განუყვებელი და ქარღვიანი სისხლის გაგვირგვინებაც უნდა!

რაღაც შეეხება დღევანდელ მოცემულ მდგომარეობას, რომელიც იმ-აში მდგომარეობს, რომ უკრაინასაც და საქართველოსაც ერთი ბატონი ჰყავთ — ოკეანისისგანმდგომარეობის დია სემი, ასეთ რეალობაში არც რუსეთისთვის დაწესებული სანქციების მიერთებაზე უარის თქმა არ არის იოლი. მით უმეტეს, როცა ამ უარს შინაც ბევრი ოპორტუნისტული ნაცვების მე-5 კოლონის სახით. ცხონებულ ეად ქართულ პოეტსა და არანაკლებ დიდ მამულიშვილს, რეზო აბაშვილს, ირაკლი ლარიბაშვილზე აქვს ნათქვამი: „როგორი ქართული მიხვრა-მოხვრით ეახლება ხოლმე კათოლიკოს-პატრიარქს და როგორც გულწრფელობით ეამბობრება

ლოვანი როლი შეასრულა. სწორედ ამისთვის იყო ჩამოსული რუსეთის საგარეო საქმეთა იმჟამინდელი მინისტრი იგორ ივანოვი საქართველოში. სააკაშვილის შემდეგი ვიზიტი იყო აშშ-ში, სადაც ტვინი გადაუბრუნეს და მან პუტინთან დადებული ყველა პირობა დაარღვია. იქამდეც კი, რომ ასლან აბაშიძისა და მისი შვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძრა — შედეგად, ბატონმა ასლანმა გარდაცვლილი მეუღლე ბათუმში კი გადმოასვენა, მაგრამ თვითმხილველების თქმით, ვერ დაესწრო მეუღლის დაკრძალვას, ხოლო მოგვიანებით ბათუმში ჩამოსული მისი შვილი სააკაშვილმა დედის საფლავზე დააპატიმრებინა... ამ ყველაფერს ვლადიმერ პუტინმა არაკაცური საქციელი უწოდა, მაგრამ იმამდე ჯერ კიდევ

წელს მიუხედავად ვლადიმერ პუტინის ისტორიული გამოსვლით დაიწყო; გამოსვლით, რომელშიც ე.წ. კოლექტიური დასავლეთისა და აშშ-ის სერიოზული შეშფოთება გამოიწვია, მაგრამ არა დასავლეთის ვარსკვლავები მისიკო სააკაშვილისა და მოხდა 2008 წლის აგვისტოს სამარცხვინო ომი, რომლის შედეგად დე ფაქტო ისედაც დაკარგული სოხუმისა და ცხინვალის რეგიონები დე ფაქტო დაკარგეთ, ბლუს „ზემო აფხაზეთად“ მოლაღატურად მონათლული კოდორის ხეობა და ახალგორიც.

ახლა გამოიხატება მავანი ურავატრიოტი, — შე მოლაღატე, როგორ თუ სამუდამოდო, — დამამუნათებს. — კი, ბატონო, სამუდამოდ თუ არ დავკარგეთ, მაშინ დავიბრუნებთ დაკარგულს, როცა უკრაინა დაიბრუნებს ყირიმს...

P.S. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე უკრაინელმა კოლექტორმა მიიპატიჟა. ეს, პირველ რიგში, ქართველი ხალხის შეურაცხყოფაა, რადგან მსგავსი დაპატიჟება საქმის გასარჩევად დაბარებაა; ზუსტად ისა, ე.წ. კანონიერი ქურდი პარლამენტი რომ დაიბარებოდა! ბოლოს და ბოლოს, რაიმე ვალი გვაქვს უკრაინელების თუ ამერიკელთა ნაქაზებითა და საკუთარი უტყუარობით ომი რომ დაიწყებოდა? თუმცა მეტი ღირსნი ვართ და ახია ჩვენზე! საქართველოს მოსახლეობა შეიშინებულა, ნავის ბუნებრივი იჩაქება და ამ ვითარებაში უმადურ უკრაინელებს ტონობით სურსათს უზრუნველყავით, უზღუდო უფლები აქვთ განუყვებელი და ქარღვიანი სისხლის გაგვირგვინებაც უნდა!



უკრაინა დღეს უმძიმესი და მწარე გაკვეთილია საქართველოსთვის, ამიტომ, ხელისუფალნი, გონებას უნდა მოვუხმოთ და ვიმოქმედოთ ისე, რომ ბრმა მსხვერპლი არ გავხდეთ, მით უმეტეს, რომ ჩამოცილებული ტერიტორიებისა და კიდევ მეტი საზოგადოებრივი და აკადემიური დაკარგვა გვიმუქრება. ეს საშიშროება თავიდან რომ ავიცილოთ, უკრაინის მსგავსად რუსულმა დათმვა ჩვენც რომ არ დაგვტოროს, სწრაფად უნდა ვიმოქმედოთ დღესვე, სხალ გვიან იქნება, ისტორია კი დაგვინანებს არ გვაპატიებს.

ხელისუფალნი, ყურადღება!

მოგმართავთ 93 წელში გადავიწვებოდა ისტორიკოს-პოლიტოლოგი ქუთაისიდან

ბატონებო, რაც შეიძლება სწრაფად უნდა გამოვიტანოთ დასკვნები უკრაინის ტრაგედიიდან. დააკვირდით, აქ მოტანილი კოლაჟის შინაარსს, რომელიც რუს მხატვარს, ანდრეი დოროფეევს, ეკუთვნის. მასში ვკითხულობთ: «რატომ არ შეიძლება ნატოს მოშვება ჩვენს საზღვრებთან?»

ოქმედოთ ისე, რომ ბრმა მსხვერპლი არ გავხდეთ, მით უმეტეს, რომ ჩამოცილებული ტერიტორიებისა და კიდევ მეტი საზოგადოებრივი და აკადემიური დაკარგვა გვიმუქრება. ეს საშიშროება თავიდან რომ ავიცილოთ, უკრაინის მსგავსად რუსულმა დათმვა ჩვენც რომ არ დაგვტოროს, სწრაფად უნდა ვიმოქმედოთ დღესვე, სხალ გვიან იქნება, ისტორია კი დაგვინანებს არ გვაპატიებს.

ქართული გეოგრაფიული სივრცე, მისი 700-კილომეტრიანი უმუალო საზღვარი დიდ მეზობელ რუსეთთან მზრძანებლურად ითხოვს შევლას და გვეცხის: მომავლეთ თავიდან ეს წყელი ნატო მის პედერასტ-ლესბოსელებთან ერთად; ნუ მღუპავთ, ყურად იღეთ ბრძენი მოძღვრის — ილია მე-



ორის მიერ ჯერ კიდევ 20 წელზე მეტი ხნის წინათ, 2001 წლის სააღდგომო ეპისტოლეში ნათქვამი და გეოპოლიტიკური ლოგიკით განპირობებული დიდებული რწევა: «ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორც საქართველო, ყველაზე მისაღები პოზიცია ნეიტრალიტეტი».

ხელისუფალნი, გეკითხებით: რატომ არ გსურთ, იწამოთ ეს უცილებელი და საქართველოს გეოპოლიტიკური სივრცის ძახილი, რომელსაც ქვეყნის ბრძენი პატრიარქი გირჩევთ?

ხელისუფალნი, რატომ ვერ ხვდებით, რომ ომი უკრაინაში ნატო-ნატოს შეჩივიებით, ფაქტობრივად, აშშ-დასავლეთმა გააჩაღა? დალსი საფლავში გაახარეს, თვითონ ბუჩქებში ჩასხდნენ და რუსეთს უბადრუკი სანქციებით ემუქრებოდნენ. ლენინგრადის 2-ნახევარწლიანი ბლოკადის, ოთხწლიანი უსასტიკეს ომგამოვლილ და გამარჯვებულ ხალხს განა ვინმე შეაშინებს? კვლავ და კვლავ გირჩევთ, ბატონებო, ჩემი ასაკი და გამოცდილება ამის უფლებას მაძლევს: შეეშვიტ ნატო-ევროსტრუქტურებისადმი ბრმა და უვიცტრფიალს. ერთხელ მაინც დაფიქრდით, რატომ სომხეთი და აზერბაიჯანი — ჩვენი უშუალო მეზობლები — არ ეთავყვნებიან მათ.

სალ აზრს მოუხმეთ, ბატონებო!

გივი გურაშვილი,
ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პოლიტოლოგი ქუთაისიდან

კვლავ და კვლავ გირჩევთ, ბატონებო, ჩემი ასაკი და გამოცდილება ამის უფლებას მაძლევს: შეეშვიტ ნატო-ევროსტრუქტურებისადმი ბრმა და უვიცტრფიალს. ერთხელ მაინც დაფიქრდით, რატომ სომხეთი და აზერბაიჯანი — ჩვენი უშუალო მეზობლები — არ ეთავყვნებიან მათ

ქართული გეოგრაფიული სივრცე, მისი 700-კილომეტრიანი უმუალო საზღვარი დიდ მეზობელ რუსეთთან მზრძანებლურად ითხოვს შევლას და გვეცხის: მომავლეთ თავიდან ეს წყელი ნატო მის პედერასტ-ლესბოსელებთან ერთად; ნუ მღუპავთ, ყურად იღეთ ბრძენი მოძღვრის — ილია მეორის მიერ ჯერ კიდევ 20 წელზე მეტი ხნის წინათ, 2001 წლის სააღდგომო ეპისტოლეში ნათქვამი და გეოპოლიტიკური ლოგიკით განპირობებული დიდებული რწევა: «ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორც საქართველო, ყველაზე მისაღები პოზიცია ნეიტრალიტეტი»

რუსეთი და ყაზახეთი სოკოლის ექსპორტს ზღუდავენ

ევრაზიის ეკონომიკური კავშირის ქვეყნები (რუსეთი, სომხეთი, ბელარუსი, ყაზახეთი, ყირგიზეთი) მარცვლეულის, მზესუმზირის ზეთისა და შაქრის ექსპორტის ერთიანი კვოტის შემოღებას გეგმავენ. მათი მიზანი სასურსათო უსაფრთხოების გაზრდის უზრუნველყოფა და საქონლის ფასების ნაწილობრივი სტაბილიზაციაა. ინფორმაცია აგრარული ბაზრის კონიუნქტურის ინსტიტუტის ვებგვერდზე ვრცელდება.



კვოტის შემოღება იგეგმება. რუსეთში ყველა ამ საქონლის ექსპორტზე შეზღუდვები უკვე მოქმედებს. მაგალითად, მარცვლეულის ექსპორტი ევრაზიის ეკონომიკური კავშირის წევრ ქვეყნებში 30 ივნისამდე აკრძალულია. ძირითადი მიზეზი არის ის, რომ ადრე გაერთიანების ზოგიერთი ქვეყნის მეშვეობით რუსული პროდუქტის ექსპორტი გადასახადების გვერდის ავლით ხდებოდა. თავის მხრივ, ყაზახეთი, რომელიც ქართვე-

ლი იმპორტიორებისთვის რუსეთის შემდეგ მეორე ბაზარია, მარცვლეულისა და ფქვილის ექსპორტზე დროებით შეზღუდვებს აწესებს. შეზღუდვა ორ კვირაში დაწესდება და 15 ივნისამდე იქნება ძალაში.

მინისტრმა დააზუსტა, რომ ამ პერიოდში ექსპორტიორები ყაზახეთიდან მილიონი ტონა მარცვლეულის ექსპორტს შეძლებენ, თუმცა ამ მოცულობის 10% შიდა ბაზარს დაბალ ფასებში უნდა მიანოდონ. მთავრობა იმავე შეზღუდვის შემოღებას ფქვილის ნისქვილების მიმართაც აპირებს: ისინი 15 ივნისამდე 300 000 ტონა ფქვილის ექსპორტს შეძლებენ, რომლის 10% შიდა ბაზარზე უნდა გაიტანონ.

ამასთანავე, ყაზახეთის მთავრობა, წინა წელთან შედარებით, მზესუმზირის ზეთის ექსპორტსაც ამცირებს 20%-ით.



25-ე გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

...როგორ მოხდა, რომ 40 წლის შემდეგ ასე მალე და ასე გამიზნულად ამოიწვია და ვრცელდება ახალი ნაციაზმი, თავისი ყველა ატრიბუტით, მაშხალაბით სვლით, ბანდერული მისალმებით, სტიფანი ბანდერას სიკვდილის შემდეგ უკრაინის ბმირად გამოცხადებით და ა.შ.

საიდან იზრდება ფეხები, ანუ სადაც ქაღალის თავია დაბარსული

მსოფლიოში სახელგანთქმული ოსკაროსანი კინორეჟისორი და მსახიობი ნიკიტა მიხალკოვი, როგორც ჩვენი მკითხველებისთვის ცნობილია, ტელეარხ „Планета РТР“-ზე უძღვება საავტორო პროგრამას „Бесогон“, რომელსაც, ჩემი აზრით, ქართული იდიომატური გამოთქმა „ფუი, ეშმაკს!“ ასე თუ ისე ესადაგება. თუ ვინმე უკეთესს შემოგვთავაზებს, სიამოვნებით შევცვლით.

დღეს კი მაინცდამაინც ამ რეზონანსით ვთავაზობთ 2 აპრილის გამოშვების საგაზეთო ვარიანტს, რომლის გადმოთარგმნა საპატიო მიზეზით გამიჭიანურდა — ჩემს ბიბლიოთეკაში წაყვანული „მერანის“ მიერ 1990 წელს გამოცემულ წიგნს „ოსიზ მანდელშტამი. ლექსები, თარგმანები, ნარკვევები, სტატიები“ და სხვა სამყაროში აღმოჩენილი გადასახლებული...

დაბრუნდა. და განვიხილოთ მანდელშტამის შავი ჩანაწერებიდან ერთი აბზაცი. ყოველი შემთხვევისთვის.

„ვენიციელებს ეციენობდა, როცა მარკო პოლო უყვებოდა, რომ ჩინეთში ქალაქი ფულით ვაჭრობდა. ამ ფულით მხოლოდ სიზმარში თუ იყიდი რამეს. ოქრო აბრეშუმის ქალაქს არ ეწებება“ (ანტიშნული წიგნის 360-ე გვერდი).

ცნობისთვის: წინა გადაცემის აუდიტორია 16 მილიონს აღემატებოდა. ეს არის გიგანტური რაოდენობა საკმაოდ მორიდებული გადაცემისთვის, — შენიშნავს ავტორი, რომელსაც, უპირველესად, აინტერესებს ნებისმიერი ყურადღებები მოვლენის მიზეზ-შედეგობრივი კავშირები — სად არის ძალის თავი დამარსული.

არა მხოლოდ ფაქტის შეფასება — ალბათ, ყველას გასმენიათ მოსაზრება, მეც თქვენ შორის, რომ ნაცისტების არსებობა უკრაინაში სიცრუეა; რომ შვარცენგერი და სხვაც ბევრი აცხადებს, თითქოს ევროპის ცენტრში ნეოფაშიზმის გაცოცხლების გამო ჩვენი შემოერთება ამაოა, „ფეიკია“ და ა.შ.

წინა გამოშვებებში ვამხელდით იმ გაუგონარ სიმხეცეს, რომელსაც ბანდერელები სწადიოდნენ დიდი სამამულო ომის დროს.

არ მსურს, კვლავ და კვლავ მოგაყენოთ სულიერი ტრავმა, მაგრამ მოდით, გავიხსენოთ 1943 წლის 9 ნოემბერი. პოლონური სოფელი პოროსლივო. უკრაინელი ნაციონალისტების ბანდა, რომელიც ადგილობრივებს საბჭოთა პარტიზანებად გაცნობ, მთელი დღის განმავლობაში სოფლებების მასპინძლობას შუბლის ძარღვის შეურყეველად იღებდა, საღამოს მათი სახლები ალყაში მოაქცია და სრულად ამოხოცა პოლონელი მოსახლეობა. მოკლეს 173 ადამიანი. მხოლოდ ორი გადარჩენენ, რომლებიც ცხედრების ქვეშ აღმოჩნდნენ

და ექვსი წლის ბიჭი, რომელმაც თავი მოიმკვდარუნა. ფაშიზმზე გამარჯვების შემდეგ გარკვეული დროის განმავლობაში ნაცისტების დაჯგუფებები მხეცურად ხოცავდნენ მშვიდობიან მოსახლეობას უკრაინის ტერიტორიაზე და არა მარტო იქ.

მათ ებრძოდა საბჭოთა ხელისუფლება. ეძებდა. პოულობდა. უსწორდებოდა. 1946 წელს ნეჟალენაის მოედანზე (კალინინის ყოფილ მოედანზე) განხორციელდა ყველაზე დაუნდობელი მკვლელების, რომელთა ხელები ათასობით საბჭოთა ადამიანის სისხლით იყო შეღებილი, სასჯელის უმაღლესი ზომის (ჩამოხრჩობა) საჯაროდ აღსრულება.

...როგორ მოხდა, რომ 40 წლის შემდეგ ასე მალე და ასე გამიზნულად ამოიწვია და ვრცელდება ახალი ნაციაზმი, თავისი ყველა ატრიბუტით, მაშხალაბით სვლით, ბანდერული მისალმებით, სტიფანი ბანდერას სიკვდილის შემდეგ უკრაინის ბმირად გამოცხადებით და ა.შ.

საიდან და როგორ? ნარმოვიდგენთ ერთ საინტერესო დოკუმენტს, რომელსაც ისტორიკოსები, რა თქმა უნდა, იცნობენ, მაგრამ ვეჭვობ, ახალგაზრდებს გაეგოთ რამე.

ხელთ ჩამივარდა პუბლიცისტისა და ისტორიკოსის, **მეგანი პაიციჩის**, წიგნი „ბრუსილის ქყაბი“, რომელშიც გამოქვეყნებულია 1955 წლის 17 სექტემბერს, როცა უკვე დამთავრებულია (ოფიციალურად) ოპერაცია ბანდერელი ბანდიტების წინააღმდეგ, ბრძანებულება 1941-1945 წლების დიდი სამამულო ომის დროს საბჭოთა მოქალაქეების ამნისტიის შესახებ, რომლებიც ოკუპანტებთან თანამ-



ნიკიტა მიხალკოვი სტუდიაში

შრომობდნენ. ამ ბრძანებულებას ხელს აწერდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კლიმენტ ვოროშოვი და საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს მდივანი ნიკოლაი პეგოვი.

დოკუმენტი ნათქვამი იყო, რომ იმ მდგომარეობის გათვალისწინებით, რომ საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის დასრულებულია საომარი მდგომარეობა, საბჭოთა ქვეყნის უმაღლესი ორგანოს პრეზიდიუმმა იხელმძღვანელა პრეზიდიუმის მდივანებთან და შეესაძლებლად მიიჩნია, გამოეყენოს ამნისტიის იმ საბჭოთა მოქალაქეების მიმართ, რომლებიც სულმოკლეობისა თუ შეუგნებლობის გამო ჩათრეული აღმოჩნდნენ ოკუპანტებთან თანამშრომლობაში.

ეს დოკუმენტი, ოფიციალური განმარტებით, საშუალებას აძლევდა ფაშისტების ლაქიებს, ჩართულიყვნენ პატიოსან შრომებში და გამხდარიყვნენ სოციალისტური საზოგადოების ღირსეული წევრები. მათ ათავისუფლებდნენ საპატიმროებიდან რუსეთისა და სხვა რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამისი მუხლების საფუძველზე.

სასჯელის ვადის ხანგრძლივობის მიუხედავად, თავისუფლებდნენ ის პირები, რომლებიც გერმანულ არმიის სამსახურის გამო იყვნენ დაპატიმრებული, ასევე პოლიცი-

ასა და სპეციალურ გერმანულ ფორმირებებში. ამ დამაულის ჩადენის გამო გადასახლებულ ბრალდებულებსაც მიეცათ საშუალება, დაბრუნებოდნენ სასარგებლო შრომას საზოგადოების საკეთილდღეოდ. ეს საყოველთაო ამნისტია განხორციელდა იმ დროს, როცა დივერსიები საბჭოთა არმიის წინააღმდეგ და ოუნის (უკრაინის ნაციონალისტების ორგანიზაცია) და შპსს (უკრაინის მეამბოხეთა არმია) თავდასხმები გრძელდებოდა 50-იანების შუა წლებამდე.

ოუნის იატაკქვეშეთან ბრძოლის 10 წლის განმავლობაში — 1945-1955 წლებში დაიღუპა 25 ათასი სამხედრო მოსამსახურე, სახელმწიფო უშიშროების, მილიციის თანამშრომელი და მესაზღვრე. 32 ათასი საბჭოთა პარტიატივისტი.

ეს ყველაფერი იმ დიდი ომის შემდეგ მოხდა. დოკუმენტი ხელმოწერილია 1955 წლის სექტემბერში, მაშინ, როცა მხეცური თავდასხმები ჯერ კიდევ გრძელდებოდა.

სტალინის გარდაცვალების შემდეგ ორი ნეონაზი იყო გასული და მიმდინარეობდა სისხლისმღვრელი ბრძოლა ქვეყნის ლიდერობის მოსაპოვებლად და პარტიამაც პირველად ცნობისთვის. ბუნებრივია.

გენერალური მდივნის საყვარელთან ყველაზე ახლოს აღმოჩნდა ნიკიტა ხრუშჩოვი.

ბრძანებულება, როგორც ვთქვით, 1955 წლის სექტემბერშია ხელმოწერილი. 1956 წლის თებერვალში იმართება პარტიის XX ყრილობა, ხრუშჩოვი სტალინის პიროვნების კულტის, რეპრესიებისა და ა.შ. წინააღმდეგ გაილაშქრებს. რაც ხალხის აზროვნებას შეცვლის. სხვა სიტყვებით, ეს მკვლელები და დამნაშავეები ხალხის თვალში სტალინიზმის რეპრესიების მსხვერპლად გარდაიქმნენ.

შეითხვა: მას შემდეგ, რაც ამნისტია შეეფარდა ამ დამნაშავეებსა და მკვლელებს, ისინი თვალის დახამხამებაში შეიცვალნენ? როგორც დოკუმენტში იყო ნათქვამი, საზოგადოების სრულყოფილებიანი წევრები გახდნენ?

მასილი ზასტაფნი, ოუნის ერთი მეთაური აცხადებდა: „პოსტოლეთითა და ავტომატით ბრძოლის პერიოდი დამთავრებულია. სხვა დრო დადგა. დრო ბრძოლის ახალგაზრდობის მოსაპოვებლად, საბჭოთა ხელისუფლებაში შეზრდის გზით ბოლშევიკური ლოზუნგების გამოყენებით. ჩვენი მიზანია, შევადნოთ ყველა თანამდებობაზე, რაც შეიძლება მეტნი ვიყოთ მრევლოებაში, ტრანსპორტზე, განათლების ხელმძღვანელობაში, ახალგაზრდობის ხელმძღვანელობაში. ჩვენ უნდა ახალგაზრდობას ყველაფერი ეროვნული“.

სწორედ ამიტომ დაიძრა

ქვეყნის ხელმძღვანელობისკენ დასავლეთ უკრაინის ოლქების მკვიდრთა უზარმაზარი ნაკადი, რომელთა შორის იყო უკრაინის პირველი პრეზიდენტი **ლეონიდ კრავჩუკი**. აი, რატომაც იძახებდნენ უკრაინის სამხედრო კომისარიატებში ჯერ კიდევ ბელოვეჟის პუშჩამდე ახალწვეულთა ასაკის ადამიანებსა და ოფიცერებს, რომლებსაც ხელს აწერდნენ დოკუმენტზე, რომ რუსეთთან ომის შემთხვევაში მზად არიან, ებრძოლონ რუსებს.

(უაღვილო რეპლიკა: როცა ედუარდ შევარდნაძემ დიდი შიმშილის კატასტროფის წინაშე მდგარი საქართველოსთვის ხორბლის სესხებით დასახმარებლად უკრაინაში საქართველოს პრემიერ-მინისტრი ოთარ ფაცაცია მიავლინა და კრავჩუკთან შეხვედრას მეც დავესწარი (სხვა არავინ იყო), მასპინძლის მხრიდან ისეთი გაუცხოება ვიგრძენით, რომ მზად ვიყავით, ჩვენი მწირი ნარჩენებიც მისთვის დავგვეთმო.
რალა ახლა გავიხსენებ?
ვერ გეტყვით.
მაგრამ დამალვაც უაზრობაა).

ხრუშჩოვს სჭირდებოდა ძლიერი დაცვა და ძალაუფლების განმტკიცება. და იგი ყირიმს უკრაინას საჩუქრად გადასცემს. მაშინ სულერთი იყო, აქეთ იქნებოდა ყირიმი თუ სხვაგან. ერთი ჯობიდან მეორეში გადადებდასავით იყო. შემდეგ გაიჩვენა, რომ თითქოს მარტივ ქმედებას უფრო ღრმა ფესვები ჰქონდა, უფრო — ბოროტი ფესვები.

ჩვენ თითქოს ვერაფერს ვხედავდით.

ვერ ვამჩნევდით, რომ 1991 წლიდან მოყოლებული ამერიკელი ინსტრუქტორები დაკავებულნი არიან უკრაინის არმიის აღზრდით, უფრო ზუსტად — უკრაინის ნაციონალისტების აღზრდით. ამერიკული საქველმოქმედო ფონდები ზრუნავენ უკრაინელი ბავშვების სწავლასა და აღზრდაზე.

გათავისუფლებული ვალანჯახის სასკოლო ბიბლიოთეკაში აღმოაჩინეს სახელმძღვანელოები მეთერთმეტე კლასებისთვის, რომლებშიც რუსები მტრებად ჰყავთ წარმოსახული, აგრესორებად, ოკუპანტებად. ხოლო დონბასში მცხოვრებ მოქალაქეებზე წერენ, რომ ტერორისტები არიან, რომლებიც რუსი კურატორების მითითებით მოქმედებენ. ბავშვებს ასწავლიან ნატოს ჯარების საბრძოლო დანაყოფებისა და ტაქტიკურ სექტებს, როგორ აღმოუჩინონ პირველადი დაზარალება ჯარისკაცებს. ეს სახელმძღვანელოები მომზადებულია სხვადასხვა მეთოდური მითითების საფუძველზე, რომლებიც დამზადებულია ნატოსა და აშშ-ში. ამის თაობაზე პატიოსნად არის მითითებული გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი, სადაც სტალინს ადარებენ ჰიტლერს. იგი ჰიტლერის მოკავშირედ ჰყავთ წარმოდგენილი და უნერგავენ ბავშვებს, რომ იგი ცუდი კაცი იყო, ხოლო ბანდერელები კარგები არიან, ისინი თითქოს იბრძოდნენ გერმანელების წინააღმდეგ, მაგრამ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგაც იბრძოდნენ.

ანუ სანამ ვყიდით ნავთობს, ბუნებრივ გაზს, სანამ დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი ურთიერთობა ქვეშა-რიტად ძმურია და არაფ-



ბანაჩანი სისრულეშია მოყვანილი



კოლექტიური დასავლეთის ამ პოლიტიკური შოუს შედეგად, რომელიც პროპაგანდას უნავდა მიცნობას საზღვრების ბარებზე, სპორტს პოლიტიკის მიღმა, კერძო ქონების ხელშეწყობას, სიტყვის თავისუფლებას და ასე შემდეგ, ყველა ამ დასავლურმა ღირებულებამ ნდობა დაკარგა. დასავლეთმა უნდა დაუკლოს მორალისტობის სიმხურვალის ბრალს.

ერო ემუქრება, ამერიკელები ბავშვების სწავლა-განათლებლაზე ხუთ მილიარდ დოლარზე მეტს ხარჯავენ. ისინი ნისიაზე თამაშობდნენ, მუქთად, ვალის დაბრუნებაზე გათვლით და იმარჯვებენ. სწორედ ამის წყალობით იზრდება ახალი თაობა, რომელმაც პრაქტიკულად დედის რქესთან ერთად შეითვისა ყველაფერი რუსულის სიძულელი, ანუ ის, რასაც დღეს ვხედავთ. რეპლიკა კინოფილმიდან „გაზაფხული 12 გაულეობა“.

„როგორც კი სადმე გამარჯვების ნაცვლად წარმოქვამენ „ჰაილო“ ვინმეს პერსონალური მისამართით, იცოდეთ, იქ გველოდებიან, იქიდან დაიწყება ჩვენი დიდი აღორძინება“.

და როცა 2014 წელს უკრაინაში სამხედრო გადატრიალება მოხდა, აბსოლუტურად ნათელი გახდა, რომ შექმნილი სისხლიანი სასაკლავო განხორციელება ყირიმში. ხოლო სეკსტოპოლში განლაგდება ნატოს უმძლავრესი საზღვაო-სამხედრო ბაზა. ამას გრძობდნენ სეკსტოპოლელი და მათი საპროტესტო მიტინგების უმთავრესი საბრძოლო ლოზუნგი იყო „ია-ნიკი, გოუ ჰოუმი!“

8 წლის განმავლობაში ბომბავდნენ დონბასს, თქვენ ეს იცით. ხოლო მთავრობა თანდათან ძირავს ქვეყანას ნაციონალური განწყობების მორევში. ჩვენ კი ვცდილობთ, ვირწმუნოთ, რომ ყველაფერი ნორმალურია, ყველაფერი კარგად იქნება, თავს ვიტყუებდით იმით, რასაც უკრაინელები 1991 წელს ამბობდნენ.

გაიხსენეთ!

— როგორც საბჭოთა კავშირში ვიყავით, ასევე ვიქნებით ასე თუ ისე.

— როგორი ურთიერთობა გექნებოდა რუსეთთან?

— საუკეთესო დონეზე. ერთად უნდა ვიყოთ.

ასე ამბობდნენ... დონბასის საზღვართან კი თავს იყრდნენ უდიდესი არმია უძლიერესი შეიარაღებით, რომელიც ნატოდან იყო გამოგზავნილი. ჩვენთვის ცნობილი გახდა თარიღი, ადგილი, საიდანაც შემოჭრა განხორციელდებოდა.

„ჩვენი დახვეწილი მონაცემებითა და უკრაინელი ტყვეების ჩვენებით შეტყვის ოპერაცია უნდა განხორციელდებოდა. იყო მიმდინარე წლის 8 მარტს. ფაქტები მიგვიჩვენებს, რომ თავდასხმა ერთდროულად დაიწყო და როგორც დონბასის რესპუბლიკების ტერიტორიაზე, ასევე რუსეთის ფედერაციაზე.“

ჩვენ სხვა გამოსავალი არ გვაქვს. შეცნობილი გვაქვს, რომ დონბასის ტერიტორიაზე 800 ათასზე მეტი რუსეთის მოქალაქის მიტოვება შეუძლებელია, ვადაიარებთ ლუგანსკისა და დონეცკის რესპუბლიკების დამოუკიდებლობას და გათავისუფლებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული დახმარების აღმოსაჩენად ვასრულებთ ამ რესპუბლიკების ხელმძღვანელების თხოვნას.

ზოგჯერ მესმის ჩივილი, რომ საჭირო არ იყო შეტყვის განხორციელება. უნდა დავლოდებოდით უკრაინის ჯარების შესვლას დონბასში და მხოლოდ შემდეგ შევსულიყავით. მაშინ ეს მათი აგრესია იქნებოდა და არა ჩვენი. ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

მივმართავ მათ, ვინც ასე ფიქრობს, წარმოვიდგინოთ თუ არა, რამდენი მშვიდობიანი

ადამიანი დაიღუპებოდა დონბასის იმ სისხლიან საკვებ მანქანებში?!

თუ ეს ომი მზადდებოდა 30 წლის განმავლობაში, გგონია, რომ იგი მხოლოდ დონბასის ტერიტორიით იქნებოდა შემოფარგლული? ეს განწყობა, ეს ადამიანები, ბანდერელების ეს შთამომავლები დამშვიდდებოდნენ და სადღაც გაქრებოდნენ. გაცნობიერებული გვაქვს? იმის წარმოდგენა კი, რომ უკრაინაში ფესვები გაიფარა ნაციზმმა, ბოლშევიკი გვაჩნდა სულიერი დავამყოფების, „ფიკად“. მაგრამ ასეა. არა მხოლოდ არსებობს, არამედ დეკლარირებულიცაა სახელმწიფო არხებით, საერთოდ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.

უკრაინაში ძალაში შევიდა კანონი, რომელიც ომის მონაწილეებად აღიარებს უკრაინის ამბოხებულ არმიის „ბოვიკებს“, რომელიც აკრძალულია რუსეთში.

ამ კანონის წინააღმდეგ გაილაშქრეს უკრაინაშიც და მის საზღვრებს მიღმაც. უკრაინის ებრაელთა კომიტეტის ხელმძღვანელმა **იღუარდ დოლინსკიმ** განაცხადა, რომ სარჩელს შეიტანს კიევის წინააღმდეგ ვეტერანების სახელით. იცით, ვინ არის ადოლფ ეიზმანი? იგი გერმანელი ობერმ-ტურმანფიურერი, რომელიც უშუალოდ იყო პასუხისმგებელი ებრაელთა საკითხის მოგვარებაზე. მის სინდისზეა ექვს ათასზე მეტი ებრაელის წამებით სიკვდილი.

მან შეძლო ნიურნბერგის პროცესისთვის თავის არიდება, გაიქცა არგენტინაში. გასული საუკუნის 60-იან წლებამდე ისრაელის დახვეწილი „მოსადი“ ეძებდა ამ სუპერდამნაშავეს. იპოვეს, ჩამოიყვანეს ისრაელში და სასამართლოს განაჩენით დახვრიტეს.

უკრაინა, მოუსმინოთ მათ, ვინც უშუალოდ მონაწილეობდა უკრაინაში ნაციზმის აღორძინებაში. ლაპარაკობს სამხედრო ანალიტიკოსი **რიტარ სკოტი**:

— უკრაინის არმიაში 260 000 პირადი შემადგენლობა იყო გაერთიანებული, რომლებიც განვრთნილი და ეკიპირებული იყო ნატოს სტანდარტის მიხედვით... გასათვალისწინებელია ორასი, სამასი ათასი რეზერვისტიც, დამხმარე ქვედანაყოფებისა და სამსახურების არსებობაც...

ის, რასაც რუსები ებრძვიან არ არის მხოლოდ უკრაინის ხელისუფლების წინააღმდეგობა. უნდა გაითვალისწინონ, რომ აშშ-ის ცენტრალური სადახვეწილო სამმართველო პატიოსნად თანამშრომლობს უკრაინის ინფორმაციის სამინისტროსთან და პასუხისმგებელია იმაზე, რასაც ჰქვია „ინფორმაციული ოპერაცია“.

გარდა იმისა, რომ ამერიკელები აღზრდიან ახალგაზრდა იმის გამო, რომ ჩემი ცოლი ძღვანელობსასაც ნიშნავენ. მოუსმინეთ. საინტერესო სკანდალური **საშხარა მიტორის ნულანდი** და უკრაინაში ამერიკის ელჩ **ჯეფრი პაიტი** შორის, რომელიც 2014 წელს გაიმართა.

ნულანდი: — რას ფიქრობ?

პაიტი: — ვფიქრობ, რომ თამაში ვართ. **კლინტონ** საკითხი, როგორც ჩანს, აქ რთული გადასაწყვეტია, განსაკუთრებით მისი აღზრდა პრემიერმინისტრის მოადგილე დანაკითხავს რამდენიმე ჩემი

შენიშვნა ახლანდელ ურთიერთობებში ამჟამად არსებულ პრობლემებზე? ასე რომ, ვცდილობთ, სწრაფად გავარკვიოთ, რა როლს თამაშობს იგი.

ნულანდი: — კეთილი. არა მგონია, კლინტონ უნდა იყოს მთავრობაში. არა მგონია, რომ ეს აუცილებელია და კარგი იდეაა.

პაიტი: — დიახ. თუ იმ კუთხით შევხედავთ, რომ იგი არ უნდა იყოს მთავრობაში, დარჩეს თამაშგარეთ და განაგრძოს თავისი პოლიტიკური საქმიანობა. თუ ლაპარაკია პროცესის წინ ნაწევზე, ალბათ, ზომიერი დემოკრატები ერთად უნდა შევინარჩუნოთ.

ნულანდი: — **ინტენიუი** შესაფერისი ადამიანი უნდა იყოს. ეკონომიკის საკითხებსა და მართვის საკითხებში გამოცდილია.

მას შემდეგ, რაც 2019 წელს ამერიკელმა კონგრესმენებმა მიმართეს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტს, ტერორისტურ-

რესტორნების პატრონებს ემუქრებოდნენ, მიუხედავად იმისა, აქვთ თუ არა რაიმე კავშირი რუსეთთან. შტუტგარტის ერთი პატარა რესტორნის მფლობელმა ჰიტლერის როლი მოიგო და გამოიხატა კატეგორიული მოთხოვნა — „რუსული პასპორტების მფლობელებს ჩვენს რესტორანში არ მიესალმებიან“.

ბანდერელების აღორძინების ტენდენცია მართო რუსეთში არ შეიმჩნევა. გერმანის ამჟამინდელი კანცლერი **ოლაფ შოლცი** თურმე არის გენერალ ლეიტენანტის და „ეს-ესის“ გრუპენფიურერ **ფრიც ფონ შოლცის** შვილიშვილი, რომელიც რუსებს ებრძოდა ორივე მსოფლიო ომში და პირადად ხვრეტდა ებრაელებს პოლონეთსა და უკრაინაში. გასაკვირი არ არის, რომ ბატონ შოლცს ელიმება, როცა ესმის სიტყვა „გენოციდი“, რომელიც ხორციელდებოდა დონბასში. იგი შესანიშნავად

ნიკიტა მიხალკოვი განაგრძობს:

— ყური დაუგდეთ, რას ლაპარაკობს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი ყაზახეთში — **ჯან სიანო**:

— კოლექტიური დასავლეთის ამ პოლიტიკური შოუს შემდეგ, რომელიც პროპაგანდას უწევდა მეცნიერებას საზღვრების გარეშე, სპორტს პოლიტიკის მიღმა, კერძო ქონების ხელშეწყობას, სიტყვის თავისუფლებას და ასე შემდეგ, ყველა ამ დასავლურმა ღირებულებამ ნდობა დაკარგა. დასავლეთმა უნდა დაუკლოს მორალისტობის სიმხურვალის ბრალს.

ვფიქრობ, არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ აშშ-ის უმაღლესი ხელმძღვანელობა მოქმედებს და მოღვაწეობს არა საკუთარი ნების თანახმად. ბევრი დაცინიან **ბაილენის** ასაკს, მის ჩვეულებას, მყისიერად შეცვალის თავისი შეხედულება იმის კარნახით,

გულახდილად ვთქვათ, კამალა ჰარისი ყველაზე ჩლუნგი ადამიანია მათ შორის, ვინც ოდესმე აურჩევიათ ვიცეპრენიდეტად აშშ-ის ისტორიაში“; — ასეთი აზრი დომინირებს ამერიკაში.

— ახლა კი წარმოიდგინეთ, — მიმართავს ნიკიტა მიხალკოვი ტელემაყურებლებს, — რომ რაღაც მიზეზების გამო ბაიდენს ჩაენაცვლა ჰარისი. შეეძლება კი ამ ქალბატონს, დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილებები, თუ მასაც სხვები უხელმძღვანელებენ? პრეზიდენტი ბაიდენი ამბობს:

— მიმანია, რომ ვიმყოფებით მსოფლიო ეკონომიკის გარდამტეხ ეტაპზე, განა მხოლოდ ეკონომიკის, არამედ საერთოდ მსოფლიოს. როგორც ერთმა მაღალჩინოსანმა ამ დღეებში მითხრა უშიშროების საბჭოს სხდომის დროს, 1900-დან 1946 წლამდე დაიღუპა 60 მილიონი ადამიანი. მას შემდეგ ჩვენ დავამყარეთ მსოფლიო ლიბერალური წესრიგი და ადამიანების სიკვდილიანობის ესოდენი რაოდენობა არასოდეს გამოერებულა. ბევრი ადამიანი იღუპება, მაგრამ ეს ქაოსი ასე ახლოს არასოდეს ყოფილა.

ახალ დროებაში, როცა ყველაფერი იცვლება, ჩვენ უნდა დავანსოთ ახალი მსოფლიო წესრიგი და წინ წარუვძღვეთ მას, გავაერთიანოთ მთელი თავისუფალი სამყარო“.

ეს მოწოდება არაფერს გვაგონებს? მაგალითად, გერმანელების სურვილი, რომელიც ფაშისტურ გერმანიას ოკუპირებულ ტერიტორიებზე სურდა დაემყარებინა. რით დამთავრდა ჰიტლერის ეს გეგმა ოცნება, საყოველთაო არის ცნობილი.

მითხარით, გეთაყვა, დღეს განცხადებული ახალი წესრიგი ხელს გვაძლევს? შეგვიძლია წინ აღუდგეთ მას?

ნებისმიერ დაეჭვება უადგილოა. მაგრამ **რუსეთის ელჩის ერთი ნაწილი საზღვარგარეთ გაიქცა. ვიღაც შემინდა. ვიღაც კი — იმის გამო, რომ ვეღარ შეძლო ესუთხრა იმ ჰაერით, რომლითაც ტექნიკები თავიანთ ფილტვებში ტუშავდნენ (!).**

ეს იყო თვითგანმენდა რუსეთის საზოგადოების.

ყველამ საკუთარი თვალით ვნახეთ, ურთულეს უამს ვისთვის რას ნიშნავს სამშობლო.

იბადება შეკითხვა: ვინც არ ნავიდა, იმათგან ყველა რატომ დღუს?

თუნდაც გუბერნატორები, რომლებსაც ხმა არ ამოუღიათ იმაზე, რაც ამჟამად რუსეთში ხდება. რატომ არ გამოთქვას თავიანთი სახელმწიფოებრივი პოზიცია, რას ნიშნავს რუსეთის სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ღონისძიებები ხალხისთვის და ასე შემდეგ? რომ ხალხს მოუწევს დროებითი სიძულელების გადალახვა და ყველა სამუშაოთი იქნება დასაქმებული...

შეჩვენება, რომ ეიფორიამ, რომელიც, ბოლო წლები, დაგვძლია, დაგვიჩლუნვა გრძნობები, მოგვიდუნა სიფხიზლე... მაგრამ ამასთანავე, დარწმუნებული ვარ, რომ გავიმარჯვებთ! ყველა სხვა შემთხვევაში მოგვიწევს, დავემორჩილოთ წესრიგს, რომელსაც გვიპირდებიან და გვიმზადებენ.

მაოზადა არაზ სანაბლიძე



კუსათის ელიტის ერთი ნაწილი საზღვარგარეთ გაიქცა. ვიღაც შემინდა. ვიღაც კი — იმის გამო, რომ ვეღარ შეძლო ესუთხრა იმ ჰაერით, რომლითაც ტექნიკები თავიანთ ფილტვებში ტუშავდნენ (!). ეს იყო თვითგანმენდა რუსეთის საზოგადოების.

ლი ორგანიზაციების სიაში შეტანათ უკრაინის პოლიკი „აზ-ოვს“, სულ ცოტა დრო გადის, რაღაც 3 წელიწადი და აშშ-ის კონგრესსა და ევროპის პარლამენტში მთელი ხმით გაჰყვირან ბანდერელების ართმევენ, ან უარს გვეუბნებიან უმდიდრესი კოლექციების დაბრუნებაზე, რომლებიც, მოლაპარაკების თანახმად, გამოფენილი იყო სხვადასხვა ქვეყანაში.

(**ასე რომ, ჩვენი მკითხველებო, თქვენც შესანიშნავად ამჩნევთ, რომ გარკვეული პარტიული დაჯგუფებების გადარეული ანტირუსული განწყობილების გაფრთხილება „მთელი საქართველოს მასშტაბით“ პრიმიტიული პლაგიატია ან მუდმივი მასწავლებლისა და პატრონის დაგვლების ფრიალა შესრულების მცდელობა თავის გამოსაჩენად და არ ავად დახარჯული ფულის ილუზიის შექმნაა.**

ფუნჩულ!

სამაგიეროდ ლოყები დაუმრგვალოდ, იაფიანი სასადილო მზარეულის დამხმარის მიერ ცუდად გაპუტული ქათმის დაგვარად ამოსული წვერულავაში დამშვენდნენ ეს ქაჩაქუცა კოლორკოთავიანი „მგლოვიარე ყარაჩოვები“).

ერკვევა გენოციდის მასშტაბებში. რაღაც უნდა ვთქვათ მილიარდებზე, რომელიც უცხოეთის ბანკების ანგარიშებზე დაგვიბლოკეს, ან კერძო კონტაქტებზე, რომელსაც რუსეთის მოქალაქეებს ართმევენ, ან უარს გვეუბნებიან უმდიდრესი კოლექციების დაბრუნებაზე, რომლებიც, მოლაპარაკების თანახმად, გამოფენილი იყო სხვადასხვა ქვეყანაში.

(**ასე რომ, ჩვენი მკითხველებო, თქვენც შესანიშნავად ამჩნევთ, რომ გარკვეული პარტიული დაჯგუფებების გადარეული ანტირუსული განწყობილების გაფრთხილება „მთელი საქართველოს მასშტაბით“ პრიმიტიული პლაგიატია ან მუდმივი მასწავლებლისა და პატრონის დაგვლების ფრიალა შესრულების მცდელობა თავის გამოსაჩენად და არ ავად დახარჯული ფულის ილუზიის შექმნაა.**

ფუნჩულ!

სამაგიეროდ ლოყები დაუმრგვალოდ, იაფიანი სასადილო მზარეულის დამხმარის მიერ ცუდად გაპუტული ქათმის დაგვარად ამოსული წვერულავაში დამშვენდნენ ეს ქაჩაქუცა კოლორკოთავიანი „მგლოვიარე ყარაჩოვები“).

ამ უაღრესად რთულ ვითარებაში ხშირად გაიხსნა ჩვენი პატრიარქის, უნმინდესისა და უნეტარესის — ილია მეორის ბრძნული და იმედიანი შეგონებანი. მართლაც ბედნიერია ქართველი ერი, ასეთი ღირსეული პიროვნება რომ ჰყავს სულიერ წინამძღვრად. სწორედ უნმინდესი და უნეტარესია ერთადერთი უზენაესი გონება და სინამდვილე ტანჯული საქართველოსი.

1985 წლის 23 იანვარია. მირეკავს საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიის საქმეთა რწმუნებული, ჩემი მეგობარი ანზორ ნიკლაური და მეუბნება: ჩემო ომარ, უნმინდესსა და უნეტარესს ილია მეორეს შენთან შეხვედრა და შენი აშენებული ქორწინების სასახლის დათვალიერება სურსო. მესიამოვნა, თან გამიკვირდა, მართალია, წარსულთან შედარებით საგრძნობლად „დათბა“ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მეტი თავისუფლება იგრძნობოდა, მაგრამ ეკლესიასთან უშუალო და ღია ურთიერთობას მაინც ერიდებოდნენ თანამდებობის პირები. მიუხედავად ამისა, ერთი წუთითაც არ მიყოყმანია, დავთანხმდი და პატრიარქთან შეხვედრის დროც დავთქვი.

სწრაფი ნაბიჯებით აუწყევი ძველი საპატრიარქოს ხის ვიწრო კიბეს. დავინახე, კიბის თავში მდგარი პატრიარქი მილიმოდოდა და ისე შემომტყუროდა, როგორც მამა დიდი ხნის მონატრებულ შვილს. ძალიან თბილად შემიგება, ჩამიხუტა და მეამბოხა. ამ უდიდესმა ადამიანურმა სიტომომ ჩემი გული სამუდამოდ მოინადირა. შეხვედრა, რომელიც შედგა პატრიარქის ინიციატივით, **ქალისტრატე ცინცაძის** ყოფილ რეზიდენციაში გაიმართა და ესწრებოდა მცირერიცხოვანი წმინდა სინოდის თითქმის მთელი შემადგენლობა. უნეტარესმა თითოეულ მათგანთან წარმადგინა, როცა გაცნობის ოფიციალური ცერემონია დასრულდა, პატრიარქმა საჩუქრად გადმომცა მწვანეფიფიანი რუსულენოვანი ბიბლია წარწერით „ბატონ ომარ მარგველაშვილს, კეთილი სურვილებით, ილია II, 23.01.1985 წელი“, ხატსა და თავის საეპიტო ბარათთან ერთად. მან გულისტკივილით აღნიშნა, მიუხედავად ჩემი დიდი ძალისხმევისა, მთავრობის გულგრილობის გამო, ქართულენოვანი ბიბლიის გამოცემას ვერ მივაღწიეთ. შემდეგ ხილითა და კონიაკით განწყობილ მაგიდაზე მიგვიწვია. უნმინდესმა ვერცხლის ძველებური პაჭარა სასმისი თავისი ხელით შემეგვს და სრულიად საქართველო და ქართველი ხალხი დალოცა. შემდეგ სინოდის წევრები, ანზორი და მეც გვადღეგრძელა. ვისაუბრეთ, რა თქმა უნდა, ჩვენც შევსვით პატრიარქის სადღეგრძელო.

— ახლა კი წავიდეთ, თქვენი აშენებული ქორწინების სასახლე დავათვალიეროთ, ძალიან აქებენ, მაგრამ მოყოლილ მაინც ნახვა სჯობს, — ბრძანა პატრიარქმა და წამოვდექით. ქორწინების სასახლეში დავგვხვდნენ ჩემ მიერ საგანგებოდ გაფრთხილებული დირექტორი **მლხა სვიმონიშვილი**, მისი მოადგილე **ომარ მხეიძე**, არქიტექტორი **ვიქტორ ჯორჯანიანი**, მხატვარი **ზურაბ ნიშარაძე**, სკულპტორი **გია ჯაფარიძე**, **პაჭარა ორბელიანი**, **დოლო ლორთქიფანიანი**. დავათვალიერებინეთ გაჩირაღდებული სასახლის დარბაზები. ოქროს ქორწინისა და დავესწარი. პატრიარქი და მისი თანხმლები სინოდის წევრები აღფრთოვანებულნი იყვნენ. დამშვიდობებისას კი გვითხრა: **ქალიან ნასიამოვნები ვარ. კარგი იქნება, ამ ლაშაშ თანდალაზარ ნამდვილი მთაწვანის სანდოები რომ იქნეთ, ამ საოცარ ნაბაზოვას მათ სიტოვოს, მიმზიდველობასა და სურნალს შესქენალო.** ეს წინადადება საინტერესოდ მომეჩვენა, მაგრამ, სამწუხაროდ, მას აღსრულება არ ეწერა. ბედმა უნმინდესთან კიდევ

შემახვედრა. ერთხელ პარიზში მივლინებით „იუნესკოს“ შტაბ-ბინაში გახლდით. მთხოვეს, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის მოწვევა გვესურს, დავგვხმარეთ, მოსაწვევს გაგატანთ, რომ გადასცეთო. სიამოვნებით დავთანხმდი. როგორც კი თბილისში დავბრუნდი, მაშინვე დაუკავშირდი პატრიარქს. უნმინდესი „იუნესკოში“ მიწვევამ გაახარა, ჩემმა სიურპრიზმა კი აღაფრთოვანა. პარიზიდან ჩამოვიტანე ქართველ ემიგრანტთა ლევილის სასაფლაოზე დაკრძალულთა ნუსხა და ფოტომასალა. საპატრიარქოში მახლდა იუნესკოს თანამშრომელი, ჩემი ძველი მეგობარი **აპთანდილ ძორიძე**, რომელმაც ამ ორგანიზაციაში თვრამეტი წელიწადი წარმატებით იღვანა. მაშინ ლევილის სასაფლაო მასთან და მის შესანიშნავ მეუღლე მანანასთან ერთად დამოვიხმარე. ისინი ძალიან დამეხმარნენ ქართველთა საფლავების აღწერაში. შეხვედრით უკვე ხანდაზმულ ქართველ ემიგრანტებს. ჩემდა გასაოცრად, ისინი ხმას არ სცემდნენ ერთმანეთს სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულებების გამო. სამწუხაროდ, ეს წმინდა ქართული ხასიათისა და ბუნების გამოვლენა გახლდათ. პატრიარქს იქვე ვუწვევინეთ **ძაჭარა ჩოლოყაშვილისა და ნოე ჟორდანიას** საფლავებზე გადაღებული სურათები. ყველაფერ ამას ცოტა ხნით თუ დამიტოვებთო, — მკითხა. ცოტა ხნით კი არა, საჩუქრად მოგართმევთ-მეთქი. ძალიან გაიხარა.

ამ შეხვედრას მოჰყვა გაგრძელება. გახსოვთ, ალბათ, მთელ საქართველოში ვრცელდებოდა აზრი, თითქოს ნოე ჟორდანიას საფლავზე ამოტყეფრული იყო მისი ლექსი: **„ვარ ჩემი ქვეყნის გულდამწვარი ჭირისუფალი, ერის ბრწყინვალე მომავალი მსურს გავიხარო. თუ საქართველო არ იქნება თავისუფალი, დე, მტერად ქცეულიც დამენახოს მთელი სამყარო...“** ეს სტრიქონები მეხსიერებაში მქონდა ჩაბეჭდილი: მახსოვს, ჩვენს ოჯახში შეკრებილი მამას მეგობრები, როცა თავისუფალი საქართველოს სადღეგრძელოს სვამდნენ, პათოსით კითხულობდნენ ამ ლექსს. სხვათა შორის, ეს სტრიქონები ნოე ჟორდანიას არ ეკუთვნის: მისი ავტორია პოეტი, პუბლიცისტი და მხატვარ-კარიკატურისტი **სიმონ ბერაქიანი**, (თაყაიშვილი, ბერგერი), რომლის საფლავიც დაკარგულია. წარმოიდგინეთ ჩემი გაოცება, როცა ჟორდანიას საფლავის ქვაზე ეს პათეტიკური ლექსი ვერ ამოვიკითხე! აი, რას იუნჯებოდნენ ქართული და ფრანგული წარწერები: „ნოე ჟორდანიას. საქართველოს რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტი. საქართველომ 1918 წლის

პატრიარქი — ერის სულიერი მოძღვარი



საქალაქი ვიშნელოვისაა ჩვენი ერისთვის 1977 წლის 25 დეკემბერი — დღე, როდესაც უფლის ნებით საქართველოს პატრიარქად იკლესიის საეპისკოპოსო ტახტზე ილია II კათალიკოს-პატრიარქად აღსაყდრდა და დაიწყო პატრიარქობის გაკლიაჩება-აღორძინების სრულიად ახალი ერა. ერა, როდესაც ერთადერთი თაყვანისცემი ერიცა და ბერიც აუწავდა! საქართველოს მთელ ტერიტორიას მოეწინა ახალი ეკლესია-მონასტრები



26 მაისს მისი მეთაურობით აღადგინა თავისი დამოუკიდებლობა რუსეთის 117-წლიანი ბატონობის შემდეგ. როცა ილია მეორეს ნოე ჟორდანიას საფლავზე გადაღებული სურათი ვაჩვენე, გაიღივებოდნენ ქართული და ფრანგული წარწერები: „ნოე ჟორდანიას. საქართველოს რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტი. საქართველომ 1918 წლის ქართველოს ეკლესიის წინაშე ბევრი ცოდვა ჩაიდინა. საქართველოს ეკლესია თითქმის კანონგარეშე გამოაცხადა — ეწეოდა მის დისკრედიტაციას. პატრიარქები — კირონი და ლეონიდე მუდმივ ბრძოლაში იყვნენ ჟორდანიას ხელისუფლებასთან, რომელმაც საქართველოს ეკლესიას შენობები, მიწები ჩამოართვა და სკოლებიდან საღვთო სჯულის სწავლება ამოიღო. ჟორდანიას ხშირად ეკამათებოდა ილია ჭავჭავაძეს. ის წერდა: „ქართული პრესა ერთიანად გათახსირებულია, როგორც გონებრივად, ისე ხეობრივად, ხოლო ქართული პრესის ეს გათახსირება სწორედ ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობის შედეგია“. ნოე ჟორდანიას მთავრობამ, რომელსაც ახლა აიღველებენ, მი-

ილი ისეთი კანონები, რომელმაც საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია გაათანაბრა ყველა დანარჩენ რელიგიურ კონფესიასთან... საეკლესიო ხატებისა და სინამდვილის ტაძრებიდან გამოტანა და მათი გაყიდვა დაიწყო. ჟორდანიას მეტი წინდახედულება და გონიერება რომ გამოეჩინა, ჩვენი ქვეყნის ბედი სულ სხვანაირად წარიმართებოდა... — ნოე ჟორდანიას არ იყო, საქართველოს დედაქალაქი თბილისი ინტერნაციონალურ ცენტრად რომ გამოაცხადა და მხოლოდ ტერიტორიის მესამედი „ვერა და მის იქით“ მიაკუთვნა ქართველებს, დანარჩენი ორი მესამედი კი — სომხებსა და აზერბაიჯანელებს-მეთქი, — დავსძინე მე. მეგონა, ამ ვიზიტით ამოიწურა ჩვენი ურთიერთობა, მაგრამ, საბედნიეროდ, თურმე ვცდებოდი: მშენებლობის მინისტრის პირველ მოადგილედ ჩემი ყოფილსა, კიდევ ერთხელ გამოიხსენა უნმინდესმა და უნეტარესმა. მიმინვია და დაუყოვნებლივ ვეახლოვარ. **პატრიარქი ახლაც ილია II-ის ჩვეული ყურადღებითა და სიყვარულით შემხვდა. რაც მან მითხრა, აღმაფრთხილდა:** — ლევილი ეკლესიის აშენება მინდა. პრეზეტის ავტორიცი შერჩეული მყავს — პარიზელი ქართველი, აღიარებული არქიტექტორი **ალექსი კობახიძე**. მართალია, ის პარიზშია დაბადებული და გაზრდილი, მაგრამ მკერდში ქართველი პატრიოტის გული უძგერს... რას მეტყვი, დახმარება რომ გთხოვოთ? — მკითხა და ლტოლბითი თვალები მომაპყრო. — თუ პარიზელი ქართველი ამ დიდებული საქმის შემსრულებლის მზად არის, ომარ მარგველაშვილს რა დღერთი უნდა გაუწყნეს?! ჩავალ პარიზშიც და ლევილიც კობახიძესთან და ჩემს მეგობარ გომარ ჩოლოყაშვილსთან (ჩვენი იმჟამინდელი ელჩი საფრანგეთში) გავარკვევ ყველაფერს და მოგახსენებთ. ჩემი პასუხი უნმინდესსა და უნეტარესს ფრიად ემა. — თქვენგან სხვა პასუხს არც ველოდიო, — ბრძანა... სამწუხაროდ, ამ კეთილშობილური ჩანაფიქრის განხორციელება ვერ მოხერხდა: **იმხანავე ლევილის მინა საფრანგეთის მფლობელობაში იყო და დაევის საგანს წარმოადგენდა. არადა, როგორ მოუხდებოდა ულაშაშეს ყვავილნარში ჩაფლულ ლევილის სასაფლაოს ქართული ეკლესია. ახლა კი ლევილის მინა ქალბატონ თეა წულუკიანის დიდი ძალისხმევით ჩვენი საკუთრებაა, მაგრამ ვინ არის ამ საშუალებილო საქმის თავის მომზადელი. გავიდა დრო და ისევ მომინა პატრიარქთან პირისპირ შეხვედრა. უნმინდესმა მთხოვა, ახალი საპატრიარქ-**

ქვეყნის



www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

უკიდურესი ფიზიკური და სულიერი ძნელადმოხის ჟამს, საქართველოს უფალი მოუვლენდა ხოლმე ზნეობრივ გმირებს: ვახტანგ გორგასალს, დავით აღმაშენებელს, თამარ მეფეს, გიორგი ბრწყინვალეს, ქეთევან წამებულს, ერეკლე II-ს, ილია ჭავჭავაძეს... წმინდა საეკლესიო მოღვაწეთაგან — ბრიგოლ ხანძთელს და პატრიარქ კირიონს. ისინი გადაგვარება-გადაშენების საფრთხის წინაშე მდგარ ქართველ ერს ეცხადებოდნენ ჭეშმარიტ მხსნელად.

არქოს უკან მდებარე წმინდა გიორგის სახელობის დაზიანებული ეკლესიის აღდგენა, — ნირვა-ლოცვა ვერ ჩაგვიტარებია, გვემინია, უეცრად არ ჩამოიხრეს და უბედურება არ დატრიალდესო, ეკლესიაში ადრე რაღაც „ცეხი“ ყოფილა. კათალიკოს-პატრიარქი თვითონ წავიძღვევა და დაგვათვალერებინა გავერანებული ეკლესია. შევლონდი, დახმარება აღვუთქვი. მან დამლოცა. პატრიარქს ვთხოვე, ვინაიდან არც პროექტი არც ნახაზი და ესკიზიც კი არ არსებობდა, ამ საქმის მცოდნე პიროვნება დაგვზმარებოდა, რომელიც კონსულტაციას გაგვიწვედა. მოგვამარგეს მღვდელი **იოაკიმი ასათიანი**, არაჩვეულებრივი პიროვნება. მას ვიცნობდი, მშენებლობის სამინისტროში ჩემთან მოდიოდა ეკლესია-მონასტრების საჭიროებისთვის და მეც ვეზმარებოდი სამშენებლო მასალებით, მექანიზმებითა და ტრანსპორტით.

იოაკიმე ასათიანმა ფასდაუდებელი დახმარება გაგვიწია და პატრიარქის თხოვნა ჩვენივე მატერიალური, ტექნიკური და ფინანსური რესურსებით წარმატებით შევასრულეთ. საქმეში მართლაც სული და გული ჩავდეთ, რათა სამეფო კარის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია მშენიერი ყოფილიყო. ის შესანიშნავი ჯვრით, ზარებით, ჭაღითა და ბრებით შევამკეთ და, ვგონებ, მიზანს მივაღწიეთ. 30 წელზე მეტია, ეს ულამაზესი ეკლესია წარმატებით ფუნქციონებს და ძველი თბილისის მრევლს ემსახურება. ეს იყო ჩვენი მაღლიერება უწმინდესისა და უნეტარესის მიმართ, რომელიც უდიდესი ღვანის გამო ქართველმა ხალხმა ლამის სიცოცხლეშივე წმინდანად შერაცხა...

ამ უაღრესად რთულ ვითარებაში ხშირად გაისმის ჩვენი პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის — ილია მეორის ბრძნული და იმედიახი შეგონებანი... მართლაც ბედნიერია ქართველი ერი, ასეთი ღირსეული პიროვნება რომ ჰყავს სულიერ წინამძღვარად. სწორედ უწმინდესი და უნეტარესია ერთადერთი უზენაესი გონება და სინძინდ ტანჯული საქართველოსი.

საგულსხმობა, რომ უკიდურესი ფიზიკური და სულიერი ძნელადმოხის ჟამს საქართველოს უფალი მოუვლენდა ხოლმე ზნეობრივ გმირებს: ვახტანგ გორგასალს, დავით აღმაშენებელს, თამარ მეფეს, გიორგი ბრწყინვალეს, ქეთევან წამებულს, ერეკლე II-ს, ილია ჭავჭავაძეს... წმინდა საეკლესიო მოღვაწეთაგან — ბრიგოლ ხანძთელსა და პატრიარქ კირიონს. ისინი გადაგვარება-გადაშენების საფრთხის წინაშე მდგარ ქართველ ერს ეცხადებოდნენ ჭეშმარიტ მხსნელად.

მართალია, რუსეთთან შეერთების გამო ფიზიკური გადაშენება აღარ გვემუქრებოდა, მაგრამ ლუარსაბ თათქარიძეს დამსგავსებული ქართველის გადაგვარებას წინ თითქოს აღარაფერი ედგა. სწორედ ასეთ დროს მოუვლინა განგებამ მწუხარე ქვეყანას **ილია ჭავჭავაძე** (ილია მართალი). სწორედ დიდმა ილიამ დაუდო სათავე ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას საქართველოში. ქართველმა ერმა, უპირველესად, სწორედ მასთან გააიგივა ერის სულიერი და ფიზიკური გადარჩენის იდ-

სააკაკო უწმინდესის როლი აზიისთვის ორის ტრაგიკული მოვლენებში... როდესაც ორის გაგვარებადი კლონი სააკაშვილი ჩუსთავალზე რუსეთზე გაგვარებას ზეიმობდა, მაშინ ჩვენი მხროვნები პატრიარქი იოაკიმი ასათიანი დაწვეული შემოვიდა და წამოვიდა. ალბათ, არის რაღაც ღვთაებრივი იმედი, რომ მისი უწმინდესობის წინაშე «გაგვარებადი» ჩუსთავალზე იქნება და დაკარგულ საქმეზე აღამაობას ნაიხარად მიიხსენებდნენ უკანდაბოლოდ

ეა. სწორედ ამიტომ შეარქვა ერმა „ქვათა ღაღადის“ ავტორს ერის მამა. გასული საუკუნის დასაწყისსაც დიდი ილიას ტვიფრი აზის, მაგრამ იმჟამინდელმა ქართველმა ლიბერალ-კოსმოპოლიტიზმა არ აპატიეს ერის სულიერი მამობა და წინამორბედი აღასრულეს საუკუნის შემზარავი დანაშაული. მიუხედავად ამ მუხანათობისა, ილიას ერი მაინც ვერ გადაგვარდებოდა. ქართველებმა გაუძლეს ბოლშევიკების უღმერთო შემოტევისა. სრულიად ანალოგიური ფუნქცია და როლი ჩვენი პატრიარქისა — ერის სულიერი და ფიზიკური ხსნის იდეა სწორედ მისგან წარმოდინდება და მისი ღვთაებრივი ქადაგებებით ავლენს თავს. ჩვენი თვალწინ მიმდინარეობს მასობრივი შეტევა ზოგადსაკაცობრიო მორალურ ნორმებზე, ეროვნულ ტრადიციებსა და ოჯახზე.

უნდა ვაღიაროთ: **გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან მოყოლებული, ანუ მაშინ, როდესაც ცხოვრების ასპარეზზე ჩემი და ნინა თაობა გამოვიდა, ორთოდოქსი კომუნისტები თითქმის აღარ იყვნენ და კიდევ თუ სადმე შემორჩნენ, ამინდს ვეღარ ქმნიდნენ, ამიტომ ფიზიკური გადაშენების, მით უმეტეს, ზეიმობრივი გადაგვარების საფრთხე აღარც კი გვემუქრებოდა. იმჟამინდელი საქართველოს ყველა დონის პარტიული ხელმძღვანელების უმრავლესობა ეროვნული საქმის კეთებას ცდილობდა. მათ შორის, ყალბი თავმდაბლობის გარეშე ვიტყვი, მეც გახლდით... პარტიული მუშაკი არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ, როგორც იტყვიან, ერთი აგური მეც დავედ სამშობლოს აღმშენებლობაში. არაადა, აღმშენებლობა მაშინ იყო, თუ იყო. უნდა გვხსნოდეს: ხელაღებით წარსულის უარყოფა, მოგავალს სასიკეთოდ არ ნააღებება. თუმცა, ამ ყველაფერს, სისხლსავე საზოგადოებრივ ასპარეზს, თითქოს რაღაც აკლდოდა ეს რაღაც, როგორც აღმოჩნდა, ქართული მართლმადიდებელი ეკლესია იყო. იმხანად ხალხში, მათ შორის (უმრავლესად) პარტიულ ხელმძღვანელებშიც) იყო ღმერთის რწმენა — ეკლესიაშიც დაედიოდით, სანთლებსაც ვანთებდით, ელოცულობდით, შვილებსაც ვნათლავდით, წითელ კვერცხებსაც ვაგორებდით საფლავებზე, მაგრამ ეს ზედმეტი აფიშირების გარეშე კეთდებოდა.**

საკრალური მნიშვნელობისა ჩვენი ერისთვის 1977 წლის 25 დეკემბერი — დღე, როდესაც უფლის ნებით საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სამეფო ტახტზე ილია II კათალიკოს-პატრიარ-



ქად აღსაყდრდა და დაიწყო მართლმადიდებლობის გაძლიერება-აღორძინების სრულიად ახალი ერა; ერა, რომელსაც ერთნაირი თავყვანისცემით ერიცა და ბერიც აშენებდა! საქართველოს მთელ ტერიტორიას მოეფინა ახალი ეკლესია-მონასტრები.



გავლენას ახდენს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე, მათ შორის, ქვეყნის საგარეო თუ საშინაო პოლიტიკაზე. ამ ხნის განმავლობაში იცვლება საერო ხელი-სუფლება... არ იცვლება და კიდევ უფრო მაღლდება სახელი და ღირსება ქართული ეკლესიისა.

1989 წლის 9 აპრილიდან (როდესაც ყურად არ ვიღებთ პატრიარქის შეგონება) მოყოლებული, რა არა გადავიტანეთ „წინაქვილის დროები არ დატრიალებულა ჩვენს თავს“, თორემ სამოქალაქო ომებით დაწყებული, 2008 წლის ომამდე, ყველა „სიკეთე“ ვინცნიეთ. რომ არა ილია II, გაფიქრებაც კი მზარავს იმისა, რა მძიმე შედეგებს მივიღებდით ყველა თავსდამტყდარი განსაცდელიდან...

სააკაკო უწმინდესის როლი აზიისთვის ორის ტრაგიკული მოვლენებში... როდესაც ორის გამგარებადი კლონი რუსეთზე გაგვარებას ზეიმობდა, მაშინ ჩვენი მხროვნები პატრიარქი იოაკიმი ასათიანი ტერიტორიიდან დაღუპული მიტოვებული გვამების გადასვენებისთვის იღვწოდა. ალბათ, არის რაღაც ღვთაებრივი იმედი, რომ მისი უწმინდესობის წინაშე „გაგვარებადი“ რუსი ჯარისკაცებიც კი მუხლზე ეცემოდნენ და დაკარგულ საქმეზე აღამაობას ნაიხარად მიიხსენებდნენ უკანდაბოლოდ.

მრავლისმეტყველი იყო იმავე წლის ბოლოს პატრიარქის ვიზიტი მოსკოვში, რასაც პერევიდან რუსეთის ჯარის გაყვანა მოჰყვა... სააკაშვილის უგულურმა განცხადებამ იმავე საღამოს უკან შემოაბრუნა რუსული ტანკები... ძნელი წარმოსადგენია, კიდევ რა საშინელებათა მომხრენი ვიქნებოდით ამ კომარული 9 წლის განმავლობაში, რომ არა მისი უწმინდესობის ძალისხმევა... **პატრიარქის თქმით, აფხაზეთიცა და ცხინვალის საქართველოს ორგანული ნაწილია და ეს ტერიტორიები კვლავ დაუბრუნდება დედასამშობლოს.**

ლოს... და რომ მის დანაწევრებას არ დაუშვებს ღვთისმშობელი — ჩვენი ერის ზეციური მფარველი და სასოება!.. მისი უწმინდესობა ილია მეორე მეორე ილიაა! ამიტომაც არ ეშვება რუსეთისკენ სავალ გზებს, რადგანაც ამ ღვთიურ ბრძენკაცს კარგად მოეხსენება, რომ საქართველოს ხვალინდელი დღე ნატოზე (ნატოს ისტერიკულ ყვირილსა და ევროკავშირისკენ უგულურ ღვთივანში) კი არა, რუსეთთან კეთილმეზობლობაზე გადის. უპრეცედენტო საქართველოში კათალიკოს-პატრიარქი ილია მეორის გაგვლენა... აშშ-ის გამოკვლევების თანახმად, მისი რეიტინგი 94%-ზე დაბლა არ ჩამოდის.

პატრიარქი საოცარი ტაქტიკა და ქრისტიანული მორალური კანონებით უპირისპირდება იმ ამორალიზმის გამოვლინებებსა და უხამსობათა ნაკადს, რომლებიც, სამწუხაროდ, „ცივილიზებული დასავლეთიდან“ მოედინება და ანადგურებს ადამიანის სულიერ საფუძვლებს... მისთვის რუს-ქართველთა ერთმორწმუნეობა დღეს არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე ეს 200 წლის წინათ იყო, ამიტომაც ამშვენებს, ალბათ, მის საბრძანებელს ერეკლე II-ის სურათი.

1990 წლის 4 მარტს, მართლმადიდებლობის დღესასწაულის დღეს, საქართველოს პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის თავდაუზოგავი ძალისხმევით, აღდგა საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალია.

რელიგია მრავალია, რწმენა კი — ერთი. რელიგია მსოფლიო კულტურის მონაპოვარია და მსოფლიო ისტორიის უმნიშვნელოვანესი ნაწილია, ქრისტიანობა რელიგიურ კულტურათა გვირგინია. იგი პროგრესული რელიგიაა. ქრისტიანობა უნიკალური ჭეშმარიტებაა.

დასასრულ, თავს უფლებას მივცემ, დიდებული **მშრმან ლებანიძის** ღრმადიზოვანი ლირიკული მოწოდებით დავეამთავრო უწმინდესისადმი მიძღვნილი ნაკვეთი:

მკითხე და გეტყვი, როსი თამარი! ქართლის ცხოვრების რა ვიცი მეტი! დავითი იყო ჩვენთვის მთავარი! დავითი იყო... პირველი სვეტი! მკითხე და გეტყვი, როს ვაჟო, მენდე, ერის მეოთხე და თავის მეთი, არც თვითონ შოთა! დავითის შემდეგ ილია იყო... მეორე სვეტი! განუქილია ქარში აღვის ხე, აწენილია სამშობლოს ხედი... ღმერთო, გვაღირსე, ღმერთო, გვაღირსე, ღმერთო, გვაღირსე მესამე სვეტი! იქნებ სწორედ ჩვენი სათაყვანებელი უწმინდესი და უნეტარესი კათალიკოს-პატრიარქი ქართველთათვის ნანატრი „მესამე სვეტი“?!

ეს ის საკრალური კითხვაა, რომლის პასუხი ცხადია ყოველი ქართველისთვის! ჩვენმა ბრძენმა და შორსმჭვრეტელმა პატრიარქმა, ღირსეული პიროვნება შეარჩია მოსაყდრედ, წარმატებები ვუსურვოთ მას.

ოპარ პარაპედავა დედასამშობლოს



მსაჯე სიხარულა

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

რუსებსა და უკრაინელებს, გვარ-ტომობასა და სარწმუნოებაზე რომ არაფერი ვთქვათ, ერთმანეთთან აკავშირებს და ერთად ქრავს სწორედ ერთად გავლილი ისტორია თავისი ჭირითა და ღვინით, თავისი დამარცხებებითა და წარმატებებით. შესაძლოა, ეს ერთიანობა სხვადასხვა დროს გარკვეულ მიზეზთა გამო დაირღვეს ან შესუსტდეს, მაგრამ შესუსტებული გრძნობის გასაღვივებლად ისევ აუცილებელია, „იფთქოს, იჭქოს დაძინებულმა ისტორიამ“. სწორედ ეს დროა ახლა რუსი და უკრაინელი ხალხის ცხოვრებაში.

რუსიკას უძღვება დარეჯან ანდრიაძე

ამ ცოტა ხნის წინათ ვწერდით: რა ქნას ხალხმა — ვის დაუჯეროს, ვისი ინამოს, ვის იმედად იყოს, როცა გარშემო სულ ტყუილი ესმის-თქო. რჩევისათვის ისევ ერის მამას მივადექით და მისი თვალსაზრისი თქვენც გაგიზიარეთ, მკითხველო: „მომოვიხედე ჩემს გარეშემო, დავეკითხე ძველსა და ახალსა, აქეთ ვეცი, იქით ვეცი, მრავალი ჭკვიანი კაცი ვნახე, მრავალი წიგნი წავიკითხე და ვცან, რომ ადამიანის უბედურობა დღემდე იმაში ყოფილა და დღესაც იმაშია, რომ ვერ მიუგნია, რა არის ცოდვა და რა არის მადლი? რას ჰქვია კეთილი და რას ბოროტი? რაც გუშინ ცოდვად აღიარებულა, დღეს ის მადლად მიგვანჩნია, რაც ერთს ქვეყანაში მადლად ჩათვლიდა ადამიანს, ის მეორეში ცოდვაა, რაც ერთს შემთხვევაში ცოდვაა მომაკვდინებელი, ის სახელოვანი საქმეა მეორეში“.


აქ არ შევუდგები იმის განხილვას, ვის კისრზეა რუსეთ-უკრაინის ომში დაღუპული უამრავი უდანაშაულო ადამიანის სისხლი. დაე, უფალმა განიკითხოს და საკუთარ „გულის დავთარში“ ჩახედოს ისინი, ვინც ეს ჯოჯოხეთი დაატრიალა და ვინც ძმა ძმას წაჰკიდა. ილიას ნათქვამს გავიმეორებ მხოლოდ, რომელიც მწარე სიმართლისთვის თვალის გასწორებაში დაგვეხმარება.

საბურველში გახვეულ მტერს ნილაბი ჩამოხსნას, რადგან თავის როლს ამ ტრაგედიაში ის შესანიშნავად ასრულებს; იმდენად კარგად, რომ ლამის ქართველებიც გააბრიყვოს: აპა, იარალი და თქვენც აზღვევინეთ რუსეთს სამაჩაბლოსა და აფხაზეთის გამო. საბედნიეროდ, ქვეყნის პრემიერმინისტრის გონიერებამ აგვარიდა ამ დიდ ხიფათს. უფალმა არ გაგვნირა არც ამჯერად, ისევე, როგორც წარსულში ქართველ ხელისუფალთა გონიერებასა და გამჭრიახობას არაერთხელ უხსნია ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა. მერე რა, რომ მათ მიმართ უმადურობას იჩენდა ბევრი; მერე რა, რომ ცილს სწამებდა და ტალახს ესროდა... ისტორია ყველას და ყველაფერს თავის ადგილს უჩენს, მაგრამ გვრჩება სამარცხვინო ლაქები, რომელთაც ვერასდროს ვერაფრით მოვიშორებთ. ვერა და ვერ ვისწავლეთ ერისათვის თავდადებად უადამიანთა სიცოცხლეშივე დაფასება. ილიაც კი მოვკალით!

მწერალი და კრიტიკოსი **მთარ ჭილაძე** წერილში „სხვა ვარსკვლავი“, რომელიც ილია ჭავჭავაძის ფენომენს მიუძღვნა, წერს: „ყველა ლიტერატურას თავისი განსაკუთრებული წარმომადგენელი ჰყავს, რომელიც ზოგად-საკაცობრიო მაგალითად არის საერთოდ მწერლობისა და საერთოდ საზოგადო მოღვაწეობისა. აქედან გამომდინარე, მისი დანიშნულებაც გაცილებით დიდია, ვიდრე მწერლობა, ანდა საზოგადო მოღვაწეობა. უფრო ნათლად რომ ვთქვათ, ისინი, გამორჩეულნი, გვიღვიძებენ ჩვენ, დანარჩენებს, სწავლის სურვილს, განგვანყოფენ სამოქმედოდ, გვიმძაფრებენ შექმნის ჟინს და გვიდასტურებენ „უკეთესი ქვეყნის“ არსებობას, დროსა და სივრცეზე გამარჯვების შესაძლებლობას, ასე რომ, ვიდრე იარსებებს კაცობრიობა, ისინიც, გამორჩეულნიც, ყოველთვის სამაგალითონი და მისაბადნი იქნებიან. ხოლო რაც მათ ცალკე შეუქმნიათ თავიანთ ქვეყნებში, საერთო, საყოველთაო სახელმძღვანელოა, საიდანაც ნებისმიერი მსურველი, უპირველეს ყოვლისა, იმას იგებს, თუ როგორი უნდა იყოს თავად.“

ასეთი გამორჩეული პიროვნება ჩვენთვის ილია ჭავჭავაძე, მაგრამ, სამწუხაროდ, ყველამ როდი იცის ეს. პირიქით, ამ ბოლო დროს ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ჩვენი ზოგიერთი გაზეთი ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და

ვინაგან მოუვიდა აზრად, რუსებისა და უკრაინელებისთვის ერთხვა: ძებნს ეს არ გაკადრებათ, მტერი არ გაასხაროთო? — არა!



პირველი შესაქვებლობისთანავე იარალი შეაჩინს ხალხი უკრაინელებს. აშშ-ისა და ევროპის რიგი ქვეყნების მიერ გაბრუნებული ზალენსკი გვიან მიხვდა «მეგობრების» ჩანაწიქსს, როცა ისინი კატაგორიულად არ უჩივდნენ მას კუბინთან მოლაპარაკებას, ახლაც ახალ-ახალ საბრძოლო ტექნიკას სთავაზობენ და ისევ ბრძოლისკენ დაჩივიან. უკრაინელი ხალხის ცხოვრებაში. ელემენტარულად, ძმა ძმას ან სიყრმის მეგობრები ერთმანეთს რომ წაუკიდონ, გამოჩნდება ვინმე ღვთისნიერი და ორივეს შეანჯღრევს: მეგობრებს ასე არ გეკადრებთ, მტერი არ გაახაროთო!

მეორე მხარე უფრო ნათლად რომ ვთქვათ, ისინი, გამორჩეულნი, გვიღვიძებენ ჩვენ, დანარჩენებს, სწავლის სურვილს, განგვანყოფენ სამოქმედოდ, გვიმძაფრებენ შექმნის ჟინს და გვიდასტურებენ „უკეთესი ქვეყნის“ არსებობას, დროსა და სივრცეზე გამარჯვების შესაძლებლობას, ასე რომ, ვიდრე იარსებებს კაცობრიობა, ისინიც, გამორჩეულნიც, ყოველთვის სამაგალითონი და მისაბადნი იქნებიან. ხოლო რაც მათ ცალკე შეუქმნიათ თავიანთ ქვეყნებში, საერთო, საყოველთაო სახელმძღვანელოა, საიდანაც ნებისმიერი მსურველი, უპირველეს ყოვლისა, იმას იგებს, თუ როგორი უნდა იყოს თავად.“

სანამ იარსებებს უსაფუძვლო და ბრმა სიძულვილი განუსაზღვრელი და უანგარო სიყვარულის წილ, ვერც ქვეყანას ეშველება რამე და უცხოთა თვალშიც ჩალის ფასი გვექნება, ადვილად გვატრიალებენ

თავიანთ ნება-სურვილზე და ისე გადაგვაჯიშებენ, რომ ვერც გავიგებთ. უვიცთა დაეჭვებაცა და ბრიყვთა აშკარა გამოხდომებიც მოსატანი არ არის იმ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობისა და საგულდაგულოდ შენიღბულ პოლიტიკასთან, რომელიც, წლებია, წარმატებით ხორციელდება და მიზეზია ჩვენი გაორებისა, ჩვენი ყოყმანისა, ჩვენი ეჭვიანობისა იმ ადამიანების მიმართ, რომლებსაც უნდა ვენდობოდეთ და ვიცავდეთ. დღესაც არიან

ბერბიჭაშვილები, რომლებიც მეორედ ცდილობენ ილიას მოკვლას; არიან ადამიანები, რომლებიც ილიას გზას მიიწვევენ ქვეყნის განვითარებისთვის უმთავრესად; არიან ადამიანები, რომლებიც მერყეობენ „ვიტარცა ლენინში ქართვან ძლიერთა“. მათ ჭიდილში კი ქვეყანა თავზე გვექცევა და ასე ცხვორვობით მონობაში შემეხილი წესებითა და მონობაში შემეხილი მსოფლმხედველობით, რაც, პირველ რიგში, სწორედ „სხვა ვარსკვლავის“ დანახვაში გვიშლის ხელს. „სხვა ვარსკვლავი“ კი თავად ილიაა, „რომელმაც ერთხელ და სამუდამოდ უნდა გამოგვიყვანოს მონობის უკუნიღბად.“

...ილია მხოლოდ სისხლიანი წარსული კი არ არის ჩვენთვის, არამედ წარმეული ანწყობა და საგულდებლო მომავალიც. მისი ტრაგიკულად დაღუპვის შემდეგ არ ყოფილა ჩვენს ცხოვრებაში ისეთი პერიოდი, მის ნამოღვაწეს მნიშვნელობა დაეკარგოს რომელიმე ჭკუთამყოფელი ქართველისთვის...

...მისი სული საერთოდ არ აპირებს აქედან წასვლას. ჩვენთან ერთად ცხოვრობს, ჩვენი შორის ტრიალებს, მაგრამ ყველას როდი შეუძლია მისი დანახვა. ამისთვის განსაკუთრებული აღზრდაა საჭირო, და საერთოდ, ასეთია ბევრი იმ გამორჩეულთა, რომლებიც დაეცა ზემოთ ვლადიკავშირით. ისინი ცოტანი არიან, რადგან არ შეიძლება ბევრი იყვნენ. მაგრამ მათი მეშვეობით შეიძლება ბევრი ღირსეული ადამიანი აღიზარდოს. ხოლო, რაც უფრო მეტი იქნებიან ღირსეულები, მით უფრო თვალსაჩინო, მით უფრო აუცილებელი გახდება მთელი კაცობრიობისთვის, ვთქვათ, ჩვენი ილია თუ რუსების ტოლსტოი, გერმანელების გოეთე თუ ფრანგების ჰიუგო — ყოველი მათგანი, რასაკვირველია, ერთადერთი და განუმეორებელი და, ამიტომაც, ერთმანეთს კი არ ენაცვლებიან, ავსებენ ერთმანეთს, ერთმანეთის სახელს სიღიადესა და სინათლეს ჰმატებენ მხოლოდ, ერთმანეთის შუქით კიდევ უფრო ივსებიან და ნათლებიან, როგორც ერთი და იმავე თანავარსკვლავედის ვარსკვლავები.“

კაცობრიობას ყოველთვის უჭირდა იმ ჭეშმარიტების გაცნობიერება, რომ ადამიანები ერთმანეთის შუქით „კიდეშორი იმსახიან და ნათლებიან, როგორც ერთი და იმავე თანავარსკვლავედი“. ამის დადასტურებაა თუნდაც ამჟამად მიმდინარე ხოცვა-ჟლეტა და დროთა განმავლობაში რუდუნებით ნაშენების ნგრევა უმონყალოდ. იმედია, ადამიანთა გონიერება აჯობებს სატანას.





მხოლოდ რწმენა და ღვთის მოლოდინი ადამიანს ვერ გადაარჩენს, თუ უფლის მოსვლის ჟამისთვის ზეთი — კეთილი, სათნო საქმეები არ ექნება დაბროვებული.



უფალს მართალი ლაზარეს აღდგინებით სურდა, მკვდრებით აღდგომის სასწაული ეჩვენებინა, თავისი მკვდრებით აღდგომისთვის შეამზადებინა მოციქულნი

ლაზარეს შაბათი

ბზობის დღესასწაულს წინ უძღვრება ლაზარეს შაბათი. ამ დღეს ეკლესია დღესასწაულობს იესო ქრისტეს მიერ თავის მეგობრის, ოთხი დღის მკვდარი ლაზარეს აღდგინებას.

ეს არის, აგრეთვე, დღესასწაული ქართული ენისა, რამეთუ „სახარებასა შინა ამას ენასა ლაზარე ჰქვიან“ („ქება და დიდება ქართული ენისა“). ქართველ ხალხს ლაზარეს მკვდრებით აღდგინება ძველთაგანვე ქართული ენისა და სრულიად საქართველოს აღდგინების სიმბოლოდ მიაჩნია. უფალ იესო ქრისტეს ძლიერ უყვარდა მართალი ლაზარე და მას თავის მეგობარს უწოდებდა.

სებ მოთხრობილია იოანეს სახარების მე-12 თავში, სადაც უფალმა ასევე დაადასტურა იმის შესახებ, რომ ის არის ჭეშმარიტად სიკვდილის მძლეველი, აღთქმული მესია ისრაელისა. უფალს მართალი ლაზარეს აღდგინებით სურდა, მკვდრებით აღდგომის სასწაული ეჩვენებინა, თავისი მკვდრებით აღდგომისთვის შეემზადებინა მოციქულნი.

როდესაც ლაზარე ავად გახდა, მარიამსა და მართას მაცხოვრის სასწაულმოქმედების იმედი ჰქონდათ, ამიტომ პატივისცემით გაუგზავნეს კაცი ქრისტეს და შეატყობინეს: უფალო, შენ ვინც გიყვარს, ავადაა. მათ იცოდნენ, რომ მაცხოვარი ინებებდა ლაზარეს განკურნებას.

ქრისტესთვის ადამიანის სიკვდილი მიძინება, მის წინ-

აშე ყველა ცოცხალია. ჩვენთვის მიზნად აღმანიანს გავლიძება იოლია, უფლისთვის კი არანაირ სირთულეს არ წარმოადგენს გარდაცვლილის აღდგინება.

როდესაც იესო ბეთანიაში მივიდა, ლაზარე 4 დღის დამარხული იყო. მართალი ლაზარე კლდები ესვენა, სადაც გამოქვაბული იყო და ლოდი ჰქონდა მიფარებული.

მარიამმა შეიტყო რა უფლის მოსვლა, უმალ გაემართ მისკენ, იესოც მას ელოდა, რათა სასაფლაოსკენ წასულიყვნენ. იუდეველები მარიამს გაჰყვნენ, რადგან ეგონათ, რომ იგი საფლავზე მიდიოდა. მარიამი კი მივიდა იმ ადგილას, სადაც მაცხოვარი ელოდა. იესომ დაინახა, როგორ ტიროდა იგი და მასთან ერთად მისული იუდეველები. უფალიც აცრემლდა. მივიდა 4 დღის დაფლულ ლაზარეს საფლავთან, რომელსაც ლოდი ჰქონდა მიფარებული, მსახურებს გადააგორებინა და მიმართა გარდაცვლილს: ლაზარე, გამოდი!

მართალი ლაზარე გამოვიდა მიცვალებულის სუდარაში შეხვეული — ხელფეხშეკრული. აღესრულა ორი სასწაული: მკვდრის აღდგომა და ხელფეხშეკრულის უფლის სიტყვისამებრ საფლავიდან გამოსვლა. მაშინ მაცხოვარმა უბრძანა მსახურებს, გაეთავისუფლებინათ სუდარისაგან ლაზარე. აღდგა ლაზარე ისეთივე სხეულით, როგორც ჰქონდა. ლაზარეს მკვდრებით აღდგინების სასწაულმა მრავალი იუდეველი მოაქცია ქრისტეს სარწმუნოებაზე.

მკვდრებით აღდგომის შემდეგ ლაზარემ კიდევ 30 წელი იცხოვრა.



იერუსალიმისაკენ დიდებით მიმავალი ხალხი სამოსელს უფენდა გზაზე, ზოგს კი ააღმის (ზვის) რტოები ეკავა და ასე ეგებებოდა მაცხოვარს

ზოგა — ბაიოგა

უფლის დიდებით შესვლა იერუსალიმში

მართლმადიდებელი ეკლესია დიდმარხვის მეექვსე კვირა დღეს ზეიმობს მაცხოვრის იერუსალიმში დიდებით შესვლას, რასაც ქრისტიანები ბაიოგას, ანუ ბზობას უწოდებენ. ეს გახლავთ ათორმეტთაგან რიგით პირველი მოძრავი დღესასწაული, რომელიც ყოველთვის ემთხვევა ბრწყინვალე აღდგომის წინა კვირა დღეს. წელს იგი 17 აპრილს აღინიშნება.

„...ერი მრავალი, რომელ-იგი მოსრულ იყვნეს დღესასწაულსა მას, რამეთუ ესმა, ვითარმედ იესო მოვიდა იერუსალიმდ, მოიღეს რტოები დანაკის კუდათაგან და განვიდეს მიგებებად მისა, ღალადებდეს და იტყოდეს: ოსანა! კურთხეულ არს მომავალი, მეუფე ისრაელისა!“, — ასე აღწერს იოანე მახარებელი მაცხოვრის იერუსალიმში დიდებით შესვლის ამბავს.

მაცხოვრის შესვლა იერუსალიმში ძლიერად მომხდებოდა. იესო სატახტო ქალაქში შესვლას ჰგავდა. უბრალო ადამიანებმა საზეიმო შეხვედრა მოუწყვეს უფალს. ეს ზეიმი წინასწარ არავის მოუზადებია, ის ადამიანთა ყველაზე წმინდა, ყველაზე წრფელი გრძობების უცარი და, შეიძლება ითქვას, უფლის მიერ შთაგონებული გამოხატულება იყო. ასე ხდება, როცა ადამიანი ხარობს ღვთის დიდებულებისა და მისთა საკვირველთა საქმეთა გამო.

ამავე დროს, წმიდა სახარება საცნაურს ხდის იმ ფაქტს, რომ უფალი ჩვენი, იესო ქრისტე, ყოველთვის გაუბროდა მიწიერ პატივსა და დიდებას. ის თავმდაბლობითა და სიმშვიდით იფარებოდა თავს ამძვირებელი ზეიმებისაგან.

როდესაც მაცხოვარი მოუახლოვდა ბეთანგესა და ბეთანიის მთას, რომელსაც ზეთისხილის მთა ეწოდება, ორი მონაფე უახლოეს სო-

ფელში გაგზავნა, რათა მიეყვანათ მისთვის შესასვლელში დაბული ვირი და ჩოჩორი, რომლის ზურგზეც ჯერ არავინ მჯდარიყო. მოციქულებმა ბრძანება შეასრულეს. ეს ყველაფერი იმისთვის მოხდა, რომ აღსრულებულიყო წინასწარმეტყველება ზაქარიასი: „და პოვა იესო ვირი და დაჯდა მას ზედა, ვითარცა წერილ არს: ნუ გეშინს, ასულო სიონისა! აპა ესერა მეუფე შენი მოვიდა შენდა და ზე ზის იგი კიცხვა ვირისასა“ (იოანე 12, 14-15).

იერუსალიმისაკენ დიდებით მიმავალი ხალხი სამოსელს უფენდა გზაზე, ზოგს კი პალმის (ზვის) რტოები ეკავა და ასე ეგებებოდა მაცხოვარს. ყოველი მხრიდან ისმოდა ღალადის: „ოსანა ძესა დავითისასა, კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა! ოსანა, რომელი ხარ მალალთა შინა!“ (მათე 21, 9).

ზვის ან პალმის მშვენიერებით ეკლესია უფრო ცხოვრებად გამოხატავს უფლის დიდებით შესვლად იერუსალიმში. ეს დიდი ხნის ტრადიციაა. V საუკუნის სასულიერო მოღვაწე, კონსტანტინეპოლის მთავარეპისკოპოსი წმიდა პროკლე, თავის ერთ-ერთ სიტყვაში ასე ამბობს: „ხელთ ვიყვართ პალმის ტოტებით შევგებოთ დიდებით მომავალს უფალს ჩვენსას“.

ღმერთი კი ყოველ ჩვენგანს სთხოვს, სულიერად შეგებოს მას, სამოსლის ნაცვლად გული გაუფინოს კიცხვზე მჯდომ მეუფეს, მხურვალე ლოცვა და თავყვანისცემა კი ზვის ტოტებით მიართვას და ისე მიიღოს უფალი საკუთარ სულში, როგორც იერუსალიმში.

იერუსალიმს დიდებით შესვლით უფალმა მორწმუნეებს სიყვარულის გამოხატულების საშუალება მისცა, ხოლო მოძულეებსა და მტრებს — მისი შეცნობისა და სინანულად მოქცევისა.



დიდი ორშაბათი

დიდ ორშაბათს ეკლესია იხსენებს უნაყოფო ლეღვის გაბ-

კანონების მშრალი აღსრულება დახვდა, ამიტომაც ამხილა ისინი და დაგმო. მაგრამ უნაყოფო ლეღვი ყველა იმ ქრისტიანის სულის სიმბოლოცაა, რომელიც სინანულის ნაყოფს არ ისხამს. ეკლესია დიდ ორშაბათს სწორედ სინანულისკენ მოგვიწოდებს.

ლიტურგიაზე წასაკითხი სახარებით წმინდა ეკლესია ღვთისაგან განდგომილი იუდეველების ბედსა და იესო ქრისტეს მიერ აღწერილი სამყაროს აღსასრულს გვახსენებს.

დიდ და მრავალრიცხოვან განსაცდელთა, იერუსალიმის დანგრევისა და სამყაროს აღსასრულის ნიშნების ჩვენებით ეკლესია მორწმუნეებს მოუწოდებს ამქვეყნიურ ბოროტებაზე ამაღლებისაკენ, სულგრძელობისაკენ, სიმშვიდისაკენ, მოთმინებისაკენ, ლოცვისა და სულიერი სიფხიზისაკენ.



დიდი სამშაბათი

დიდი სამშაბათის მსახურებაზე ვიხსენებთ იგავს ათი ქალწულისა და ტალანტების შესახებ და გრძელდება მათეს მსახურების ორშაბათს დაწყებული საკითხავი იესო ქრისტეს მეორედ მოსვლის შესახებ. ამით წმინდა ეკლესია კიდევ ერთხელ და საგანგებოდ მოუწოდებს მორწმუნეებს სულიერი სიფხიზისკენ, ჩვენთვის მარტოებული გამოყენებისკენ, განსაკუთრებით კი — მოწყალებისკენ, რასაც უფალი პირადად მის წინაშე ჩადენილ ღვაწლად გვითვლის; როცა გვეუბნება: „რაოდენი უყავი ერთსა ამას მცირეთაგანს ძმათა ჩემთასა, იგი მიმი-

ყავით“ (მთ. 25:40).

გავიხსენოთ ათი ქალწულის იგავი: ქალწულებს ზეთის მოგროვება ევალებათ, რათა სიმის მოსვლისას ზეთით სავსე ფიალები ანათონ — მხოლოდ რწმენა და ღვთის მოლოდინი ადამიანს ვერ გადაარჩენს, თუ უფლის მოსვლის ჟამისთვის ზეთი — კეთილი, სათნო საქმეები არ ექნება დაბროვებული. ამის გარეშე „სიძე იგი“ არ მიიღებს ქალწულებს ქორწილში, — გვასწავლის იგავი. ქორწილში სასუფეველი იგულისხმება, ქალწულებში კი — ადამიანები.

უფალი არ გვაუწყებს თავის მოსვლის დროსა და ჟამს, ამიტომ ყოველწამს მზად უნდა ვიყოთ მასთან შესახვედრად.



ყველაზე
ყველაზე...

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

სუსოი T-50 (CY-57) მესამე თაობის რუსული გამანადგურებელია, რომელსაც სპეციალისტები საუკეთესოდ მიიჩნევენ ამ კლასის თვითმფრინავებს შორის. T-50-ს შეუძლია, ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით გაუმართოს ბრძოლა რამდენიმე მონინალმდებელს როგორც ჰაერში, ისე მიწაზე.

6 საუკეთესო გამანადგურებელი მსოფლიოში

დღეს საუკეთესო სამხედრო თვითმფრინავები ადამიანებს აოცებს თავიანთი შესაძლებლობებით, მაღალტექნოლოგიური კონსტრუქციებითა და საბრძოლო სიმძლავრით. საუკეთესო სამხედრო თვითმფრინავი ნებისმიერი ქვეყნის სიამაყეა. ლოკალურ კონფლიქტში სამხედრო თვითმფრინავები წყვეტენ ურთულეს ამოცანებს და უზრუნველყოფენ უსაფრთხოებას. გაეცანით სხვადასხვა ქვეყნის 6 საუკეთესო სამხედრო თვითმფრინავს:



6. დასო «შირკაი» 2000

ფრანგული მრავალფუნქციური გამანადგურებლის გამოშვება 1970-იან წლებში დაიწყო და ის ამ კლასის საბრძოლო მანქანების მეოთხე თაობას განეკუთვნება. კონსტრუქტორებმა შეძლეს, მიეღწიათ საფრენი აპარატის კარგი მანევრირებულობისთვის და მოემატებინათ მისთვის სიჩქარე. საფრანგეთის არმია აქტიურად იყენებს „შირკაი“ 2000-ს ახლო აღმოსავლეთისა და ბალკანეთის კონფლიქტებში.

- ტექნიკური მახასიათებლები:
- * ეკიპაჟი — 1 პილოტი;
 - * სიგრძე — 13,36 მ;
 - * სიმაღლე — 5,14 მ;
 - * მაქსიმალური ასაფრენი მასა — 17 ტ;
 - * მაქსიმალური სიჩქარე (მიწასთან ახლოს) — 1380 კმ/სთ;
 - * მაქსიმალური სიჩქარე სიმაღლეზე — 2340 კმ/სთ;
 - * ფრენის მაქსიმალური სიმაღლე — 16,460 მ.
- შეიარაღება:
- * მართული რაკეტები „ჰაერი-მინა“ და „ჰაერი-ჰაერი“
 - * ბომბები



5. Lockheed Martin F-16 Fighting Falcon

მსუბუქი მრავალფუნქციური გამანადგურებელი, რომელიც აშშ-ის შეიარაღებულმა ძალებმა 1974 წელს მიიღეს. შედარებით დაბალმა ფასმა და ხარისხიანმა საფრენმა და საბრძოლო მახასიათებლებმა ამ თვითმფრინავს პოპულარობა მოუხვეჭა მსოფლიოში — ბევრი ქვეყნის შეიარაღებაშია.

- ტექნიკური მახასიათებლები:
- * ეკიპაჟი — 1 პილოტი;
 - * სიგრძე — 15,03 მ;
 - * ფრთების განშლა — 9,45 მ;
 - * სიმაღლე — 5,09 მ;
 - * მაქსიმალური ასაფრენი მასა 21,7 ტ;
 - * მაქსიმალური სიჩქარე 2120 კმ/სთ 12 კმ სიმაღლეზე;
 - * ფრენის მაქსიმალური სიმაღლე — 15,2 კმ;
- შეიარაღება:
- * ქვემეხები.
 - * „ჰაერი-ჰაერისა“ და „ჰაერი-მიწის“ ტიპის მართული რაკეტები;
 - * კასეტური და სხვა სახის ბომბები.



4. Eurofighter Typhoon

გერმანიის, იტალიის, ესპანეთისა და ინგლისის საკონსტრუქტორო ბიუროების ერთობლივი ნამუშევარი. ეს ევროკავშირის ერთადერთი მოდელია, რომელმაც დაამტკიცა თავისი ფუნქციურობა და ეფექტიანობა საომარ მოქმედებებში. სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ ამ გამანადგურებელს შეუძლია შორ მანძილზე სროლა, აგრეთვე, მონინალმდევის რადარების მუშაობის შეფერხება. ეს მახასიათებლები კი თითქმის გამორიცხავს ამ თვითმფრინავის ჩამოგდებას მართული რაკეტებით.

- ამ თვითმფრინავით შეიარაღებულია ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის რამდენიმე ქვეყანა.
- ტექნიკური მახასიათებლები:
- * ეკიპაჟი — 1 კაცი;
 - * სიგრძე — 15,96 მ;
 - * ფრთების განშლა — 10,95 მ;
 - * სიმაღლე — 5,28 მ;
 - * მაქსიმალური ასაფრენი მასა — 23,5 ტ;
 - * მაქსიმალური სიჩქარე სიმაღლეზე — 2450 კმ/სთ, მიწის ზედაპირთან ახლოს — 1400 კმ/სთ;
- შეიარაღება:
- * 1X27 მმ-იანი ქვემეხი მაუზერი BK-27;
 - * რაკეტები: „ჰაერი-ჰაერი“ და „ჰაერი-მიწა“;
 - * ბომბები.



3. Cy-35

ხარისხიანი და ეფექტიანი რუსული გამანადგურებელი 2008 წელს აფრინდა პირველად. ამ საბრძოლო მანქანას ბევრი მაჩვენებლის მიხედვით მიიჩნევენ მე-5 თაობის თვითმფრინავად. სპეციალისტები, მათ შორის ამერიკელები, ამ მოდელს ყველაზე სახიფათოდ თვლიან იმ მოდელებს შორის, რომლებიც ოდესმე შეუქმნიათ საბჭოთა კავშირსა და რუსეთში.

- ტექნიკური მახასიათებლები:
- * ეკიპაჟი — 1 კაცი;
 - * სიგრძე — 21,9 მ;
 - * ფრთების განშლა — 13,15 მ;
 - * სიმაღლე — 5,9 მ;
 - * მაქსიმალური ასაფრენი მასა — 34,5 ტ;
 - * მაქსიმალური სიჩქარე მიწის ზედაპირთან — 1400 კმ/სთ, სიმაღლეზე — 2500 კმ/სთ;
 - * ფრენის მაქსიმალური სიმაღლე — 20 კმ;
- შეიარაღება:
- * 30 მმ-იანი საავიაციო ქვემეხი ??-30-1. 150 ჭურვი;
 - * „ჰაერი-ჰაერი“ და „ჰაერი-მიწის“ რაკეტები;
 - * მაღალი სიზუსტისა და უმართავი ჭურვები.



2. F-22 Raptor

მე-5 თაობის მრავალფუნქციური გამანადგურებელი 1990 წლიდან არის აშშ-ის არმიის შეიარაღებაში, ეს აშშ-ის წარმოებული საუკეთესო თვითმფრინავია. ძალიან მსუბუქი, მანევრული და ეკონომიური. ამ საფრენი აპარატის ერთ-ერთი უპირატესობა არის ის, რომ შეუძლია, დიდხანს დარჩეს რადარებისგან შეუმჩნეველი.

- ტექნიკური მახასიათებლები:
- * ეკიპაჟი — 1 კაცი;
 - * სიგრძე — 18,9 მ;
 - * სიმაღლე — 5,09 მ;
 - * ფრთების განშლა;
 - * მაქსიმალური ასაფრენი მასა — 38,0 ტ;
 - * მაქსიმალური სიჩქარე — 2410 კმ/სთ; მიწის ზედაპირთან ახლოს — 1490 კმ/სთ.
- შეიარაღება:
- * 20-მმ-იანი ქვემეხი M6/A2, 480 ჭურვი;
 - * „ჰაერი-ჰაერისა“ და „ჰაერი-მიწის“ ტიპის რაკეტები;
 - * მართული და მაღალი სიზუსტის ბომბები.



1. სუსოი T-50 (CY-57)

მესამე თაობის რუსული გამანადგურებელი, რომელსაც სპეციალისტები საუკეთესოდ მიიჩნევენ ამ კლასის თვითმფრინავებში.

T-50-ს ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით შეუძლია, ბრძოლა გაუმართოს რამდენიმე მონინალმდევს როგორც ჰაერში, ისე მიწაზე.

- ტექნიკური მახასიათებლები:
- * ეკიპაჟი — 1 კაცი;
 - * სიგრძე — 19,4 მ;
 - * ფრთების განშლა — 14 მ;
 - * სიმაღლე — 4,8 მ;
 - * მაქსიმალური ასაფრენი მასა — 35,5 ტ;
 - * მაქსიმალური სიჩქარე: სიმაღლეზე — 2450 კმ/სთ, მიწის ზედაპირთან ახლოს — 2000 კმ/სთ.
- შეიარაღება:
- * 30 მმ-იანი ქვემეხი 9A1-407/K
 - * „ჰაერი-ჰაერისა“ და „ჰაერი-მიწის“ რაკეტები.

1973 წელს, როდესაც საბჭოთა კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებმა უარი განაცხადა ჩილესთან შესარჩევი მატჩის თამაშზე იმ სტადიონზე, რომელიც საკონცენტრაციო განაკად იყო გადაქცეული, ფიფა-დან წამოვიდა განცხადება „სპორტი პოლიტიკის გარეშე“ და, როდესაც საბჭოთა კავშირმა გააპროტესტა რა „პოლიტიკის გარეშე“, თუკი ჩილეში აშშ-ის სპეცსამსახურმა ახლახან მოაწყო გადატრიალება და უდანაშაულო ადამიანების სისხლი ჯერ კიდევ არ შეშრობია სან-ტიაგოს სტადიონის გაზონსო, ფიფამ კვლავ უპასუხა: „სპორტი პოლიტიკის გარეშე, ითამაშეთ!“

სპორტი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



პიერ დე კუბერტენი



ლეგენდარული მოციგურავე სონის ჰენი და ჰიტლერი

ბოლო ხანს ხშირად გაისმის ფრაზა „სპორტი პოლიტიკის გარეშე“, ანუ „სპორტი პოლიტიკა არ უნდა ერეოდეს“. ამ ფრაზას იმეორებენ მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, განსაკუთრებით, დასავლური „დემოკრატიის“ სახელმწიფოებში. თუმცა ყოველგვარი გამოძიებისა და სასამართლოს გარეშე უკრძალავენ, მაგალითად, რუს სპორტსმენებს, საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილეობას. საკითხავია, როდის იყო და იყო თუ არა, საერთოდ, სპორტი პოლიტიკის გარეშე...

„სპორტი პოლიტიკის გარეშე“ — ამ იდეისთვის ხორცის შესხმას XX საუკუნის დასაწყისში შეეცადა ფრანგი ბარონი-იდელისტი **პიერ დე კუბერტენი**. უცნობია, იყო თუ არა 1900-იანი წლების დასაწყისში სპორტი პოლიტიკის გარეშე, მაგრამ პირველი მსოფლიო ომის შემდეგ პროფესიონალური სპორტი (გუნდოლოთ მას ასე) არასოდეს ყოფილა პოლიტიკის გარეშე. პირველი მსოფლიო ომის შემდგომ, 1920-იან წლებში მსოფლიოში სპორტული მოძრაობა ორ ნაწილად გაიყო — ოლიმპიურ („ბურჟუაზიულ“) და პირობით, „სპარტაკიადულ“ (მუშა-პროლეტარების) ნაწილებად. მუშა-პროლეტარები, თავის მხრივ, გაიყო კომუნისტურ, პროსაბჭოთა (ნითელი სპორტინტერი) და სოციალ-დემოკრატიულ (სოცინტერნი) ნაწილებად.

ფიფა (ფეხბურთის ასოციაციების საერთაშორისო ფედერაცია), მაგალითად, უკვე იმხანად უკრძალავდა თავის წევრ-ქვეყნებს საბჭოთა კავშირის ნაკრებთან თამაშს, ამიტომ **აბათმურძის** თურქეთი, რომელმაც 1921 წელს სამშვიდობო ხელშეკრულება გააფორმა ახალგაზრდა საბჭოთა ქვეყანასთან, ხოლო 1923 წელს ფიფაში შევიდა, უამრავ ხერხს მიმართავდა სანქციების ასარიდებლად. თურქები თავიანთ ეროვნულ ნაკრებს ხან „თურქეთის კლუბების ნაკრებს“ უწოდებდნენ, ხან „თურქეთის უნივერსიტეტების ნაკრებს“, იმიტომ, რომ საბჭოთა ფეხბურთელების წინააღმდეგ თამაში კი სურდათ, მაგრამ აკრძალული ჰქონდათ. ფიფას ხელმძღვანელობა უკვე 1923-1924 წლებში ინტერესდებოდა, სურდა თუ არა საბჭოთა კავშირის ხალხების საფეხბურთო ოჯახში გაერთიანება. ოღონდ ინტერესდა არა პირდაპირ, არამედ თურქული საშუალებით.

სპორტი პოლიტიკის გარეშე არც 1930-იან წლებში ყოფილა, როცა გერმანიის ხელისუფლების სათავეში ჰიტლერის მოსვლის შემდეგ ევროპის სხვადასხვა ქალაქი — პროსაბჭოთა კომუნისტები, ევროპელი სოციალ-დემოკრატები და დემოკრატები აშშ-დან, დიდი ბრიტანეთიდან, საფრანგეთიდან, ჩეხოსლოვაკიიდან, ავსტრიიდან და ა.შ. გაერთიანდნენ 1936 წლის ფაშისტური ოლიმპიადების წინააღმდეგ — ზამთრის (გარმშ-პარტენ-კირხენში) და ზაფხულის (ბერლინში). აი, კალათბურთის გამომგონებელი **ჯეიმს ნი-სმიტი**, აშშ-ის ახალგაზრდა ქრისტიანების ორგანიზაცია YMCA-დან კი, ჩავიდა ბერლინში, მიესალმა ფიურერს და პირდაპირ გადასცა მედლები სპორტსმენებს; **ჰიტლერის-თვის** იცეკვა ნორვეგიელმა საოცრებამ, მოციგურავე **სონი პინი** ოლიმპიურმა ჩემპიონმა და ჰოლივუდის მსახიობმა („მზიური ველის სერენადა“), რომელსაც მესამე რაიხის ტერიტორიაზე პოპულარიზაციას თვით **ბეპეალსი** უწევდა.

სპორტი პოლიტიკის გარეშე — ეს არის პიტი. ასეთი რამ არასოდეს ყოფილა და არც იქნება



მაქს ეივისა (მარცხნივ) და ეფიფ ბოგოლუზოვის მატჩი ოქუპირებულ ჩეხოსლოვაკიაში

ვიდა სსრკ-ის ყოფილ ჩემპიონ, რუს **ეფიფ ბოგოლუზოვითან** (იმხანად გერმანიის ნაციონალ-სოციალისტური მუშათა პარტიის წევრთან) სათაპონატი ზონალური პრინციპით ტარდებოდა, როცა ცალკე თამაშობდნენ გუნდობით, „საკუპაციო“ ზონაში, ცალკე — „თავისუფალში“ (ფრ. — Libre), შემდეგ კი ერთმანეთს ხვდებოდნენ სპეციალურ მატჩებში და იცავდნენ პრინციპს — თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა? ჩეხი ჰოკეისტები კი ნაციონალური პროტექციონატის ბოჰემიასა და მორავიაში ატარებდნენ ჩემპიონატებს, ამხანაგურ მატჩებს თამაშობდნენ ფაშისტურ გერმანიასთან, იტალიასა და უნგრეთთან. კიდევ ერთი მაგალითი: 1941 წლის ივლის-აგვისტოში (გერმანელები უკვე ბოშავდნენ მოსკოვს) ნიდერლანდელი მოჭადრაკე, მსოფლიო ჩემპიონი **მაქს ეივი** ოკუპირებულ ბოჰემიის კარლსბადში ჩა-

ვიდა სსრკ-ის ყოფილ ჩემპიონ, რუს **ეფიფ ბოგოლუზოვითან** (იმხანად გერმანიის ნაციონალ-სოციალისტური მუშათა პარტიის წევრთან) სათაპონატი ზონალური პრინციპით ტარდებოდა, როცა ცალკე თამაშობდნენ გუნდობით, „საკუპაციო“ ზონაში, ცალკე — „თავისუფალში“ (ფრ. — Libre), შემდეგ კი ერთმანეთს ხვდებოდნენ სპეციალურ მატჩებში და იცავდნენ პრინციპს — თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა? ჩეხი ჰოკეისტები კი ნაციონალური პროტექციონატის ბოჰემიასა და მორავიაში ატარებდნენ ჩემპიონატებს, ამხანაგურ მატჩებს თამაშობდნენ ფაშისტურ გერმანიასთან, იტალიასა და უნგრეთთან. კიდევ ერთი მაგალითი: 1941 წლის ივლის-აგვისტოში (გერმანელები უკვე ბოშავდნენ მოსკოვს) ნიდერლანდელი მოჭადრაკე, მსოფლიო ჩემპიონი **მაქს ეივი** ოკუპირებულ ბოჰემიის კარლსბადში ჩა-



დან წამოვიდა განცხადება „სპორტი პოლიტიკის გარეშე“ და როდესაც საბჭოთა კავშირმა გააპროტესტა რა „პოლიტიკის გარეშე“, თუკი ჩილეში აშშ-ის სპეცსამსახურმა ახლახან მოაწყო გადატრიალება და უდანაშაულო ადამიანების სისხლი ჯერ კიდევ არ შეშრობია სან-ტიაგოს სტადიონის გაზონსო, ფიფამ კვლავ უპასუხა — „სპორტი პოლიტიკის გარეშე, ითამაშეთ!“

1979 წელს კი ავღანეთში საბჭოთა ჯარების შესვლის შემდეგ სპორტი უცებ აღმოჩნდა საერთაშორისო პოლიტიკის ცენტრში — აშშ-მა და მისმა „ევროპელმა პარტნიორებმა“ ბოიკოტი გამოუცხადეს 1980 წლის მოსკოვის ოლიმპიადას, ამასთანავე, აიძულეს ამერიკული კომპანიები, გაეწყვიტათ უკვე ხელმოწერილი კომერციული კონტრაქტები. 1980 წლის 7 აპრილს მოსკოვის ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტი წერდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს: „ფირმა „ამპექსმა“ უარი განაცხადა ტელერადიოკომუნიკაციების საჭირო ვიდეოკამერებისა და ტელეკამერების მიწოდებაზე, „ოვეგმა“ (ავსტრია) უარი თქვა ქრონომეტრაჟების შემოტანაზე იმიტომ, რომ აშშ-მა არ მიანოდა, IBM-მა (აშშ) — გამოვლითი ტექნიკისა და პროგრამული უზრუნველყოფის მომსახურებაზე“.

თუ ეს არ იყო სპორტი სან-ხელმწიფოს (აშშ) ჩარევა, მაშ, აბა, რა არის?

და როდის იყო სპორტი პოლიტიკის გარეშე? არც არასდროს! შეიძლება მხოლოდ ბავშვურ, კუბერტენისეულ პერიოდში...

პოლიტიკის გარეშე, მეგობრებო, მხოლოდ ეზოში ან პარკში თუ შეიძლება ბურთის გაგორება, თუმც იქაც შეიძლება დაგვარტყას ვინმემ მისთვის მიუღებელი პოლიტიკური საუბრის დაწყების გამო.

მოაქვია და ნიკა კორინთელა

თეთრი სახლის ყოფილი ეგივი: პრაზიდენტ ბაიდენის გონებრივი შესაძლებლობები ეროვნული უსაფრთხოების პრობლემა

კონგრესმენმა რესპუბლიკური პარტიიდან და თეთრი სახლის ყოფილმა ეგივმა რონი ჯექსონმა შემფოთება გამოთქვა აშშ-ის პრეზიდენტ ჯო ბაიდენის გონებრივი მდგომარეობის გამო. მისი თქმით, ლაპარაკია ჯო ბაიდენის „გარკვეულ გონებრივ პრობლემაზე“.

გაზეთ „ვაშინგტონ თაიმსისთვის“ 7 აპრილს მიცემულ ინტერვიუში ჯექსონმა განაცხადა: „აშშ-ის სახელმწიფო მეთაურის გონებრივი მდგომარეობა ბოლო ხანს ისე გაუარესდა, რომ უკვე ლაპარაკია „ეროვნული უსაფრთხოების პრობლემაზე“.

„არ ვცდილობ დიაგნოზის დასმას, მაგრამ, მთელი მსოფლიო ხედავს, რომ მას პრობლემები აქვს“, — თქვა კონგრესმენმა. ჯექსონის აზრით, ბაიდენს უნდა ჩაუტარდეს გონებრივ შესაძლებლობებზე ტესტი, რომელიც მას ბოლო სამედიცინო შემოწმებისას არ

გაუვლია, არადა, ახლა „რუსეთთან ომის რისკი მოითხოვს, რომ აშშ-ს ჰყავდეს საზრიანი პრეზიდენტი“.

უფრო ადრე აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტმა მაიკ პენსმა განაცხადა, რომ ჯო ბაიდენმა აშშ გაცილებით მეტად დააზარალა, ვიდრე ბოლო ათწლეულების ყველა პრეზიდენტმა ერთად.

rg.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა ნიკა კორინთელა



ბეარო: სურსათზე ფასებზე ისტორიულ გარდატეხას მოახლოვდება

მარტში ფასებმა ისეთი სასურსათო საქონელზე, როგორც არის მარცვლეული და მცენარეული ზეთი, ყველაზე მაღალ დონეს მიაღწია. და ეს მოხდა უკრაინაში მიმდინარე მოვლენების გამო, რომლებმაც სურსათის მიწოდების შეფერხება გამოიწვია აფრიკაში, ახლო აღმოსავლეთსა და სხვა ადგილებში, იქ, სადაც ადამიანები წლების განმავლობაში შიმშილობენ, — განაცხადა გაერთიანებულ ორგანიზაციაში.

გაეროს სპეციალისტების ანგარიშში აღნიშნულია, რომ 17,1%-ით გაძვირდა ხორბალი, შვრია და სიმინდი. ხორბლისა და სიმინდის მსოფლიო ექსპორტში კი რუსეთისა და უკრაინის წილი, შესაბამისად, 30 და 20 პროცენტია. მნიშვნელოვნად გაძვირდა მცენარეული ზეთიც — 23,2 პროცენტით. ამას ემატება მინერალური სასუქების გაძვირება, რომლებსაც, ძირითადად, რუსეთი აწარმოებს.


rg.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა ლუკა მაისურაძე

ორბანაშვილი მთავარ მტკიცებულ სოროსი, ზელენსკი და ბრიუსელის ბიუროკრატია დაასახელა

„უნგრეთის მმართველ პარტია ფიდესისა და უნგრეთის მთავრობის მთავარი მტრები არიან ჯორჯ სოროსი, ვლადიმერ ზელენსკი, ბრიუსელის ბიუროკრატია, მათთან დაკავშირებული საერთაშორისო „მემარცხენე ფრთა“ და „ადგილობრივი მემარცხენეები“, — განაცხადა უნგრეთის პრემიერმინისტრმა და ახლახან გამართულ საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებულ პარტია ფიდესის ხელმძღვანელმა ვიქტორ ორბანმა, რომელმაც მიიღო უფლება, კიდევ 4 წლით მართოს მინისტრთა კაბინეტი.

აღსანიშნავია, რომ უკრაინის პრეზიდენტი ზელენსკი უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრ დმიტრო კულეზასთან (ეს ის ცნობილი კულეზაა, რომელმაც საქართველოს უცერემონიოდ მოსთხოვა იმის დამტკიცება, რომ სანქციონირებული პროდუქციის კონტრაბანდას არ ეწევა რუსეთში — ნ.კ.) ერთად მოწინააღმდეგე უნგრეთის შიდაპოლიტიკურ ინტრიგებში და ცდილობდა, არ დაეშვა ორბანის პარტიის გამარჯვება საპარლამენტო არჩევნებში. „ჩვენ დიდხანს გვემასსოვრება ეს გამარჯვება, რადგან მოგვინია ბრძოლა უამრავ მონინალმდეგესთან — ადგილობრივ და საერთაშორისო მემარცხენეებთან, ბრიუსელელ ბიუროკრატებთან, სოროსის იმპერიის ფულსა და ინსტიტუტებთან, საერთაშორისო მას-

სადაც უნგრეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ ზელენსკიმ ყურადღარ იღო გფრ-ის კანცლერ ოლაფ შოლცის თხოვნა, რუსეთთან კონფლიქტი მოლაპარაკებებით მოგვარდებინა, — წერს ამერიკული გამოცემა Wall Street Journal-ი.



მედიასთან, აგრეთვე, უკრაინის პრეზიდენტთან. ჩვენ ამდენი მონინალმდეგე არასოდეს გვყოლია“, — თქვა ორბანმა თავისი ამომრჩევლების წინაშე სიტყვით გამოსვლისას.

kommersant.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა ნიკა კორინთელა

ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა ჩუაო ლიძიანმა სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა კარიკატურა, რომლითაც დასცინა ამერიკის თხოვნას, ქვეყანას დაეკავებინა რომელიმე მხარე.

ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა ჩუაო ლიძიანმა სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა კარიკატურა, რომლითაც დასცინა ამერიკის თხოვნას, ქვეყანას დაეკავებინა რომელიმე მხარე.



გამოსახულებაზე ამერიკის დროშაანი ხელი, რომელსაც პისტოლეტი უჭირავს, მიბჯენილია მეორე ადამიანის საფეთქელზე. როგორც ლიძიანმა აღნიშნა, როდესაც აშშ აიძულებს სხვას, აირჩიოს ესა თუ ის მხარე, ეს სინამდვილეში ნიშნავს — „დამიჭირე (მე) მხარე!“

მოუკიდებელ დასკვნებს აკეთებს და ეს დასკვნები ყოველთვის ობიექტური და სამართლიანია.

„ამერიკული მხარე ცდილობს, ცილი დასწამოს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას და მოაქციოს ის წნეხში — ეს ძალიან უპასუხისმგებლო საქციელია და ვერ მოაგვარებს პრობლემას“, — განაცხადა ჩუაო ლიძიანმა და დასძინა, რომ პეკინი არ გაიზიარებს ვაშინგტონის პოზიციას.

cont.ws-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა ბიორბი ბანჩილიაძე

WSJ: ზელენსკის შეიქმნა, თავიდან აეხილებინა რუსეთთან კონფლიქტი, მაგრამ არ მოისურვა



უკრაინის პრეზიდენტმა ვლადიმერ ზელენსკიმ ყურადღარ იღო გფრ-ის კანცლერ ოლაფ შოლცის თხოვნა, რუსეთთან კონფლიქტი მოლაპარაკებებით მოგვარდებინა, — წერს ამერიკული გამოცემა Wall Street Journal-ი.

„შოლცი უკრაინის პრეზიდენტ ზელენსკისთან მიუხედავად 19 თებერვალს გამართულ შეხვედრაზე ბოლოჯერ შეეცადა, რუსეთსა და უკრაინას შორის ურთიერთობის დარეგულირება მოლაპარაკებების გზით მომხდარიყო. მან ზელენსკის უთხრა, რომ უკრაინამ უარი უნდა თქვას ნატოსკენ სწრაფვაზე და გამოაცხადოს ნეიტრალიტეტი ფართო შეთანხმების მიხედვით რუსეთსა და დასავლეთს შორის. ამ შეთანხმებას ხელს მოანერგდნენ ჯო ბაიდენი და ვლადიმერ პუტინი, რომლებიც უკრაინის უსაფრთხოების ერთობლივი გარანტორები იქნებოდნენ“, — წერს ამერიკული გამოცემა.

სეთსა და დასავლეთს შორის. ამ შეთანხმებას ხელს მოანერგდნენ ჯო ბაიდენი და ვლადიმერ პუტინი, რომლებიც უკრაინის უსაფრთხოების ერთობლივი გარანტორები იქნებოდნენ“, — წერს ამერიკული გამოცემა.

ზელენსკიმ მოისმინა შოლცის წინადადება და თქვა, რომ ნატოში უკრაინის ინტეგრაციის გადანიშნულებას მხარს უჭერს ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის მოსახლეობის უმრავლესობა. ამ სიტყვებმა გერმანელი მაღალჩინოსნები მიიყვანა დასკვნამდე, რომ მშვიდობის შანსი ქრებოდა.

ura.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა ლუკა მაისურაძე

თუ გზურთ, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ მიიღოთ სახლიდან გაუსვლელად და ისარგებლოთ უფასო საკურიერო მომსახურებით, შვიდკვირიან დაუპაპვირდეთ კომპანიას „ელვა.ჯი“ — ტელ: 2 38 26 73; 2 38 26 74

www.geworld.ge საქართველო ისტორიული რეპის სანიტს პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

სარედაქციო კოლეჯია გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. ავტორებს ექიხრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. რედაქციის პოზიციის შეიქმნა არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს. მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6 ტელ.: 234-32-95; e-mail: geworld@inbox.ru

ISSN 2233-3894

